645
1970




# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1970 წ.



## „ღრმა და მშვიდია"

ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-10 რესპუბლიკურ კონკურსში სურათს მიენიჭა: პირველი პრემია

ავტორი თბილისის 88-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ბ ა დ რ ი დ ა თ უ ა შ ვ ი ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლუციამ გაიწვია

გრიგოლ ვაისი

### ქვისმტეხლის ქალიშვილის სოფიო სამოელის ასულ გონჩარსკაიას ნაამბობი

თეთრეულის მკერავი სოფიო გონჩარსკაია ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში იბრძოდა მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1906 წელს იგი პარტიაში შევიდა და არალეგალურ მუშაობას ეწეოდა უკრაინის სოფლებში, შაქრის ქარხნების მეპატრონეთა პლანტაციებში.

1911 წელს, პოლიციის დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით, სოფიო გონჩარსკაია საზღვარგარეთ, ემიგრაციაში წავიდა. ჯერ გერმანიაში იყო, შემდეგ კი — შვეიცარიაში. აქტიურად მონაწილეობდა ამ ქვეყნების მუშათა მოძრაობაში. მან პირველად მოუსმინა ლენინს ციურიხში, ავგუსტ ბებელს — ბაზელის კონგრესზე და კარლ ლიბკნეხტს — კარლსრუეში. გაიცნო კლარა ცეტკინი, როზა ლუქსემბურგი, ა. კოლონტაი და ქალთა რევოლუციური მოძრაობის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას სოფიო გონჩარსკაია ამერიკაში მიემგზავრება და პროფკავშირთა რიგებში ებრძვის მუშათა ინტერესების მოღალატეებს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იგი ერთ-ერთი პირველთაგანი დაბრუნდა პეტროგრადში და მალე მრეცხავთა კავშირის თავმჯდომარე გახდა. შემდგომ აირჩიეს პეტროგრადის საბჭოში. აქ იგი ჩაება ამ საბჭოს ბოლშევიზაციისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. ოქტომბრის დღეებში ს. ს. გონჩარსკაია მუშაობდა სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში, შემდგომ კი სახალხო კომისართა საბჭოს ახლადშექმნილ კანცელარიაში. 1918 წლის მაისში ს. გონჩარსკაია წავიდა ურალში და მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, იბრძოდა V არმიის რიგებში, იყო მზვერავი კოლჩაკის არმიის ზურგში, შემდგომ კი შორეულ აღმოსავლეთში და ციმბირში მოქმედი მეამბოხე არმიის კომისრად დაინიშნა, მერე დიპლომატიური მუშაობა დაიწყო. სოფიო პირველი დიპლომატი საბჭოთა ქალია.

1941 წელს პენსიონერი სოფიო მოხალისედ მიდის ფრონტზე. მან ასე განაცხადა: „ჩემი ადგილი იქაა, სადაც ლენინის საქმისათვის, საბჭოთა ქვეყნისათვის იბრძვიან.“

მოსკოვსახლო მდებარე ძველი ბოლშევიკების დაბაში მიამბო სოფიო სამოელის ასულმა თავისი ცხოვრების შესახებ. მიამბო იმ ბარიკადების შესახებ, რომლებზეც იბრძოდა, შეხვედრებზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან, რომლის გვერდითაც იგი მუშაობდა.

ჩემთვის ეს იყო მთელი ცხოვრების მანძილზე დასამახსოვრებელი გაკვეთილი.

# სმოლნში, მესამე სართულზე

1917 წლის 25 ოქტომბერი იდგა. მიმდინარეობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს სხდომა. ორ საათზე ჩემთან მოვიდა დეპუტატი ანცელოვიჩი და მითხრა: ბოლშევიკთა ფრაქციის ბიურო სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში სამუშაოდ გიწვევთო. ვერ წავალ-მეთქი, — ვუპასუხე მე.

— როგორ თუ ვერ წახვალ? — გაოცდა იგი.

— ამჟამად ვერ წავალ და თქვენც დარჩენას გირჩევთ.

— რატომ? — მკითხა ანცელოვიჩმა.

— ახლა ლენინი გამოვა სიტყვით, — ჩავუჩურჩულე ყურში.

ამხანაგი ანცელოვიჩი გვერდით მომიჯდა და მოუთმენლად დაველოდეთ ლენინის გამოჩენას. მისი მოსვლა ტაშის გრიალმა გვაუწყა, დარბაზს ქარიშხლის წინ ამოვარდნილი ქარივით გადაუარა შეძახილებმა: ლენინი! ლენინი! ლენინი!

სანამ ლენინი ტრიბუნაზე ავიდოდა, დარბაზს ოვაციები აზანზარებდა. მე ლენინი ნახული მყავდა 1913 წელს, ციურიხში. იქვე მოვისმინე მისი გამოსვლები. ლენინის გარეგნობაში განსაცვიფრებელი ცვლილებები მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად წვერულვაში არ ჰქონდა, მაინც ხელად ვიცანი სიარულით, ჟესტებით, ერთი სიტყვით, ყველაფრის მიხედვით.

ლენინს მზე მოკიდებოდა და გაცილებით უფრო მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მას რაღაც შინაგანი საზეიმო ნათელი და სიხარული ამკობდა. თვალებში დიდი სულიერი აღფრთოვანების, უჩვეულო ენერგიას, რევოლუციური გნების გამომხატ-

11.308

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი სხივი უციმციმებდა. მისი განწყობილება დარბაზში შეკრებილთაც გადმოგვედო, ჩვენი გულები საბრძოლო სულისკვეთებით აღანთო, გამარჯვების რწმენით აღავსო.

— ამხანაგებო, — თქვა ლენინმა, — მოხდა მუშურ-გლეხური რევოლუცია, რომლის აუცილებლობაზეც მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები.

ამ სიტყვებზე მთელი დარბაზი წამოიშალა და ისეთმა ტაშმა იგრიალა, რომ კედლები შეზანზარდნენ. ვლადიმერ ლენინმა კარგა ხანს ველარ გააგრძელა სიტყვა. ასეთი წუთები მართლაც რომ განუმეორებელია. მათი გადმოცემა ძალიან ძნელია. ამ ისტორიული სხდომის მონაწილენი რამდენს არ ეცადნენ გადმოეცათ თავიანთი განცდები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, სიტყვები არ ყოფნიდათ. საეჭვოა, რომ ამ განცდების გამოხატვა სიტყვებით შეიძლებოდეს. ლენინმა გამოსვლა დაამთავრა, სხვა ორატორებისთვის მოსმენა აღარავის უნდოდა.

გამოაცხადეს შესვენება. ხალხმა ახლაც ვერ შეძლო დაწყნარება და დაცხრომა... ზამთრის სასახლეზე წარმატებით შეტევის ყოველი ცნობა უფრო და უფრო აღაგზნებდა ყოველ ჩვენგანს.

ახლა კი, ამხანაგების ჯგუფთან ერთად, მესამე სართულზე ავედი, სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში.

აქ რამდენიმე თავისუფალი ოთახი და გრძელი, ჩაბნელებული დერეფანი დაგვხვდა. შესასვლელის მარჯვნივ დერეფნის ბოლოში იყო უზარმაზარი, ცარიელი მოედანი. მოედანს ზედ ჭერთან პატარა, ნახევრად მრგვალი ფანჯრები ჰქონდა. მოედნის შუაგულში იდგა მაგიდა, რომელთანაც ფედოსია ილიას ასული დრაბკინა იჯდა. მან გვაუწყა, რომ მეორე და მესამე სართულებზე თითქმის ყველა ოთახი მენშევიკებსა და ესერებს უკავიათ და გასაღებს არავის ანებებენო. გამოვიძახე დამლაგებელი გოგონები, მრეცხავითა კავშირიდან რომ ვიცნობდი, და ჭერიდან, კედლებსა და ფანჯრებიდან ცოცხებით ჩამოვხვეტეთ აბლაბუდა, მოვრეცხეთ იატაკი. შემდგომ მივუსხედით მაგიდას, რომელთანაც დრაბკინა იჯდა და შევუდექით მსოფლიოში პირველი საბჭოთა მუშურ-გლეხური მთავრობის, სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებების საქმეებს.

კაცებმა სადღაც ორი ძველი კარადა იშოვეს და ამ კარადებით შემოღობეს მოედნის ნაწილი „ცნობათა მაგიდისათვის".

17 ოქტომბერს გვიან ღამით ასეთი გაჭირვებით მოწყობილი კანცელარია ბედის ანაბარად მივატოვეთ და ჩავედით მეორე სართულზე, სადაც საბჭოების მეორე ყრილობა იხსნებოდა. ჩვენს შორის იყო პიტერის საბჭოს რამდენიმე დეპუტატი. პიტერის საბჭო სრული შემადგენლობით ესწრებოდა ყრილობას. დარბაზი ისე გაიჭედა დელეგატებითა და სტუმრებით, რომ ნემსიც არსად ჩაეტეოდა. აქ იყვნენ ქვეყნის ყველა კუთხიდან, ყველა ფრონტიდან მოსული კავშირგაბმულობის მუშაკებიც. მათ შორის გახლდათ თავიანთი ჩვეულებრივი ტანსაცმელით შემოსილი მრავალი გლეხი.

ყველაფერი, რასაც იმ საღამოს ვხედავდით და განვიცდიდით, გვესახებოდა არა პირადი ცხოვრების ეპიზოდად თუ მოვლენად, არამედ ადამიანთა უზარმაზარი კოლექტივის, ახლობელთა ბედის შემობრუნებად. შენი პირადი „მე" თითქოს სხვა ადამიანებში ინთქმებოდა და იქიდან წარმოუდგენლად იზრდებოდა. გრძნობა ღრმავდებოდა, მხედველობის არე ფართოვდებოდა, ყველას ძლიერი განცდა ეუფლებოდა. ასეთ რამეს პირველად განვიცდიდი.

ყრილობა ერთიანად მოეცვა სიხარულსა და საზეიმო განწყობილებას. წარმოუდგენელი აღტაცება მოჰყვა ვლადიმერ ლენინის გამოჩენას ტრიბუნაზე. პრეზიდიუმმა დიდი წვალებით შეაჩერა მქუხარე ტაში, მხურვალე ოვაციები. ასე თუ ისე სიწყნარე ჩამოვარდა და ლენინმა სიტყვა დაიწყო.

პირველად წაიკითხა დეკრეტი ზავის შესახებ. კითხულობდა ხმამაღლა და მკაფიოდ. უცბად რაღაც ჩურჩული მომესმა. მოვიხედე და დავინახე ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელიც მოხიბლული მიშტერებოდა ლენინს, ვერაფერს და ვერავის ამჩნევდა და ლოცვასავით ჩურჩულით იმეორებდა დეკრეტის ყოველ სიტყვას, რომელსაც ლენინი წარმოთქვამდა.

დარბაზს თვალი მიმოვავლე და რას ვხედავ: ყრილობის ყველა დელეგატი, თითქოს ფიცს ამბობსო, ისე იმეორებდა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტის სიტყვებს.

შემდეგ ლენინმა წაიკითხა დეკრეტი მიწის შესახებ.

— მიწის საკუთრების მემამულური უფლება დაუყოვნებლივ უქმდება ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე, — გაისმა დარბაზში მისი საზეიმო ხმა.

აღტაცების ტალღა ამჯერად განსაკუთრებული ძალით დაიძრა იქიდან, სადაც მეტი წილი გლეხები იყვნენ. თვალში მომხვდა ხნიერი გლეხი, რომელსაც პატარა წვერი ჰქონდა. მას სახეზე ნეტარი ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა, ცეცხლოვანი, ნაცრისფერი თვალები ბედნიერებით ავსებოდა, განძრევის ეშინოდა, რომ მისთვის უსაზღვროდ ძვირფასი კანონის არც ერთი დეტალი, არც ერთი სიტყვა არ გამორჩენოდა. გვერდით მოხუცი, დიდწვერა გლეხი გულმოდგინედ იწერდა პირჯვარს და თითქოს მუხლმოსაყრელ ადგილს ეძებდა. იქვე იყო გამხდარი, შუახნის მხვნელ-მთესველი. მას შინნაქსოვი მაუდის სვიტრი ეცვა. ეტყობოდა, ცხადად ხედავდა ნანატრი მიწის ნაკვეთს. ლოყები დაწითლებოდა, თვალები წამონთებოდა, სასიხარულო ღელვას მოეცვა და ერთიანად თრთოდა. მის თვალებს — ცეცხლის ორ წერტილს, ახლაც ცხადად ვხედავ. ასეთ თვალებს ვერასოდეს დაივიწყებ. აი, კიდევ ერთი გლეხიც: იგი უსმენდა ლენინს და ჩუმად ქვითინებდა. დაღარულ ლაწვებზე მსხვილი მძივის მარცვლებივით ცვიოდა ცრემლები. არც იწმენდდა, თითქოს ვერც გრძნობდა.

ყოველივე ამის ნახვისა და განცდისათვის ღირდა, ნამდვილად ღირდა ცხოვრება და ბრძოლა.

# ႠႶႭႰ-ႻႨ-ႬႤႡႳ-ႪႨ ႵႥႤႷႠ-ႬႠ

**ლარისა სტეფანიანი**
სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**დიდი სიხარულით ეგებება სომეხი ხალხი თავისი ქვეყნის აღორძინების საზეიმო თარიღს. მიმდინარე წლის 29 ნოემბერს სომხეთის მშრომელები კიდევ ერთ თავფურცელს ჩასწერენ თავისი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან მატიანეში.**

**ნგრევა და სიღატაკე, შიმშილი და გმინვა, ხანძრები და ეპიდემიები — ყოველივე ეს კარგად ახსოვს უფროს თაობას, თაობას, რომელმაც ჩვენ შესანიშნავ დღეებამდე მოაღწია.**

**დიდი ოქტომბრის დროშის ქვეშ დარაზმულმა მშრომელმა ხალხმა თავად გადასწყვიტა საკუთარი ბედი. სომეხი ხალხის ისტორიის ჩარხი წაღმა შემობრუნდა, რაშიც წამყვანი როლი კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ფუძემდებელმა — დიდმა ბელადმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა შეასრულეს.**

**კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვით გარემოსილი საბჭოთა სომეხი ხალხი რთულ და დაძაბულ პირობებში დიდი თავდადებით შრომობდა.**

---

[1]). სტატია დაწერილია სპეციალურად ჟურნალ „საქართველოს ქალისათვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა



სომხეთის კულტურა აყვავდა და ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომელზეც მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ მის მოწინავე ადამიანებს.

ლენინური ინდუსტრიალიზაციის გეგმის მიხედვით აშენდა და მწყობრში ჩადგა 650-ზე მეტი სამრეწველო საწარმო.

მიმდინარე საიუბილეო წლის ერთი დღის განმავლობაში უფრო მეტი სამრეწველო პროდუქცია იქმნება, ვიდრე ერთ — 1920 წელს შეიქმნა მთლიანად.

ახლა ჩვენთან მარტო ცნობილ კონიაკებს, კარგ ღვინოებსა და საუკეთესო ნოხებს როდი ამზადებენ. დიდად განვითარდა ფერადი მეტალურგია, ზუსტ ხელსაწყოთა და მანქანათა მშენებლობა, რადიოელექტრონიკა, ავტომატიზაციის საშუალებათა, დიდი ქიმიის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა.

სომხეთის მრეწველობას შესამჩნევი ადგილი უკავია სახალხო მეურნეობაში. საიუბილეო წელს ამუშავდება მძლავრი თათევის ჰესი. შემდეგ კი მწყობრში ჩადგება სპანდარიანისა და შამბის ელექტროსადგურები.

არარატის ველზე დაწყებულია რესპუბლიკაში პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს 48-კილომეტრიანი გვირაბის არპა-სევანის სამუშაოები. ეს ჭეშმარიტად სახალხო მშენებლობაა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 40 ეროვნების ადამიანი იღებს მონაწილეობას.

განსაკუთრებით ჩქარი ტემპით ვითარდება მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეთამბაქოება და ზეთოვანი კულტურების გამოყვანა.

უსაზღვროდ დიდია სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

სომხეთის თეატრი 2.000 წლისაა. სომხური დამწერლობა შეიქმნა 1600 წლის წინათ. პირველი სომხური წიგნი დაიბეჭდა 1512 წელს. შუა საუკუნეებში სომხეთის ტერიტორიაზე შესანიშნავი უნივერსიტეტები მუშაობდა. მიუხედავად ამისა, რევოლუციამდელი სომხეთის მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა. არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, არც ერთი სახელმწიფო თეატრი. დღეს კი სომხეთის სსრ სტუდენტთა რიცხვით ერთერთი მოწინავეა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის.

რევოლუციამდელ სომხეთში მხოლოდ 80 ექიმი და 150 ავადმყოფის საწოლი იყო. დღეს მშრომელთა ჯანმრთელობას სამკურნალო დაწესებულებათა ფართო ქსელი და 7.000 ექიმი ემსახურება.

ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ქმნილებებში გამოხატულია სომეხი ხალხის შემოქმედებითი შრომა, ხალხისა, რომელმაც ისწავლა, როგორ გაიმარჯვოს, როგორ აშენოს, ხალხისა, რომელმაც იგრძნო ძალა თავისი აღორძინებული ქვეყნისა.

სამამულო და მსოფლიო მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს აკადემიკოსებმა: ძმებმა ორბელებმა — ფიზიოლოგმა ლევან ორბელმა და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველმა პრეზიდენტმა, ისტორიკოსმა იოსებ ორბელმა, აკადემიკოსმა აბრამ ალიხანოვმა და სხვებმა. მსოფლიო აღიარება ჰპოვა ბიურაკანის ასტროფიზიკურმა ობსერვატორიამ, რომელსაც აკადემიკოსი ვ. ა. ამბარცუმიანი ხელმძღვანელობს:

რესპუბლიკის 130 სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში 11.000 მეცნიერ-მუშაკი იღწვის. სამი წელია მწყობრში ჩადგა ერევნის ფიზიკის ინსტიტუტის ელექტრონული ამაჩქარებელი, რომელიც უმსხვი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლესია ევროპაში. აქ სომეხი და ქართველი ფიზიკოსები საინტერესო გამოკვლევებს აწარმოებენ მაღალი ენერგიის სიხშირეებზე.

ძირფესვიანად შეიცვალა სომხეთის მშრომელთა მატერიალური დონე. საბჭოთა სომხეთის ახალი ცხოვრების უშუალო მონაწილე გახლავთ სომეხი ქალი. იგი არც რევოლუციის ქარიშხალს გაჰქცევია: სომეხი რევოლუციონერი ქალები ლუსიკ ლისინიანი, ნინო ალაჯალოვა, ფარანძემ კნუნიანც-რიზელი, ჯავაირა ტერ-პეტროსიანი და სხვები თავდადებით იბრძოდნენ რევოლუციის საქმისათვის.

რევოლუციის ვეტერანები — ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აქტიური მონაწილეები ოლლა სპანდარიანი, მარგო თუმანიანი, სუსანა შავერდოვა და სხვები მოგვითხრობენ როგორ დაიწყეს ახალი ცხოვრების შენება, როგორ ზრუნავდნენ ისინი ბავშვებსა და ობლებზე, როგორ კრეფდნენ ქუჩებში მიცვალებულთა გვამებს.

1924 წლისათვის მარტო ლენინაკანში 15.000 ობოლი ბავშვი იყო. ახლა ისინი სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებში დგანან.

პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის ნათელი, ხალხისადმი სიყვარულით გამსჭვალული იდეები სწრაფად იკვლევდა გზას სომეხი ქალის გულისაკენ. ქვეყნის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სომეხი ქალიც.



ერევანი



ეჩმიაძინი



სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ მუშამოსამსახურეთა საერთო რიცხვის 41 პროცენტს ქალები შეადგენენ. საშუალო და უმაღლესდამთავრებულ სპეციალისტთა 47 პროცენტი ქალია. ყოველი მესამე ინჟინერი და მეცნიერ-მუშაკი ქალი გახლავთ. მასწავლებელთა 70 პროცენტს და ექიმთა 79 პროცენტს ქალები შეადგენენ. 177 სომეხ ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ათასობით ქალის შრომა მთავრობის მაღალი ჯილდოთი იქნა აღნიშნული.

ოცდაშვიდნახევარი საუკუნეა დგას ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი ერევანი. იგი რომზე ოცდაათი წლით უფროსია. რევოლუციამდელი ერევნის მოსახლეობა მხოლოდ სამოცი ათას კაცს აღწევდა, ახლა კი დედაქალაქში თითქმის 800 ათასი კაცი ცხოვრობს.

ოქტომბრის ნათელმა შუქმა იხსნა სომხეთი ფიზიკური განადგურებისაგან, იხსნა თურქეთის სულთანის ტირანიისაგან, რომელსაც მილიონნახევარი ბავშვის, მოხუცის, ქალისა და მამაკაცის სიცოცხლე შეეწირა. ეს იყო ისტორიაში გაუგონარი დანაშაული. დღეს საბჭოთა სომხეთი მსოფლიოში გაბნეული ლტოლვილი სომხებისათვის ნავსაყუდლად იქცა.

ამიერკავკასიის ხალხების მეგობრობას შორეულ საუკუნეებში აქვს ფესვები გადგმული. დიდი სომეხი პოეტი ავეტიკ ისააკიანი წერდა: „ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი ერთ მეგობრულ ოჯახს წარმოადგენენ. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საუკუნოვანი ადათებითა და ტრადიციებით. ისინი ერთ მიწაზე გაიზარდნენ და ერთი მზისქვეშ დავაჟკაცდნენ''.

სომეხი და ქართველი ხალხების ერთობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მრავალმხრივ გაბრწყინდა და აელვარდა.

ათასი ძაფი აერთებს მათ ახლა ერთმანეთთან: მეგობრობენ ადამიანები, მეგობრობენ ოჯახები, საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა კოლექტივები, მეგობრობენ ქალაქები და სოფლები.

ამ მეგობრობის წყალობითაა, ასე რომ ჩახჩახებენ ნათურები ქალაქებსა და სოფლებში, ასე მცხუნვარედ რომ გიზგიზებენ ქარხნის ღუმელები, ასე მწვანედ რომ ღაღანებს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ჩვენი მამების, დებისა და ძმების სისხლით მორწყული მიწა.

ამიერკავკასიის ხალხების ეროვნული ზეიმის წინა დღეებში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის სიტყვები: დრუჟბა, მეგობრობა, ბარეკამუტიუნ, დოსტლუგ, გაისმის, როგორც საბრძოლო სიგნალი, როგორც ხალხთა მტკიცე კავშირისა და ძმობის ტრადიციისადმი ერთგულების ფიცი.

ასეთია დიდი სიმართლე განთავისუფლებული მიწისა.

ორგზის ორდენოსანი საბჭოთა სომხეთი შევიდა საუკუნის მეორე ნახევარში, იგი ადიდებს თავის ხვალინდელ ნათელ დღეს.

## სომხური ხალხური პოეზიიდან

* * *

მე სულ ამას გიმეორებ:
ვარდი არა, — ეკალია.
ია-მეთქი, გიმეორებ
ნაზია და სპეკალია.

მე სულ ამას გიმეორებ:
ვარდი არა, — დაგეშლება.
ია-მეთქი, გიმეორებ:
კოკორია, გაგეშლება.

* * *

საყვარელს კაბას ვუკერავ,
ქსოვილი რისაა? — მზისა.
სარჩულს სულ სხივებით ვუფერავ,
სხივები რისაა? — ცისა.
მე საწყალს ძაფიც არ მქონია,
უნდა ჩამოვხვეწო ღრუბელს.
აღარც არშიები მქონია —
ნაკადულს ავაგლეჯ უბეს.
ღილკილოც მჭირდება მგონია,
ბრჭყვიალა ვარსკვლავებს ვეძებ.
რაკი ყვავილიც არ მქონია
თავად დავაკვდები მკერდზე.

## ავეტიკ ისააკიანი

* * *

სამშობლოო, სულო ჩემო,
მთების მხარევ, ვარდის მხარევ.
ტბათა ფერი დაიჩემე,
მაგრამ სისხლიც ბევრი ღვარე.

სული მოგეც — რაა შენთვის,
ერთი სული მეტად მცირობს,
რად არ მივის ათას ერთი,
მხოლოდ შენ ერთს შემოგწირო.

შვილთა შენთა საკურთხეველს
თავს დავუდებ, ალალ იყოს.
შენს მეხოტბეთ მაკუთვნებენ,
ვერ გადიდო?— აღარ ვიყო!
დე რიჟრაჟიც მე გახარო.
შენს ხნულებში დავიხარჯო.
ამოცურდა მზე ახალი —
თავისუფალს გაგიმარჯოს.

## სილვა კაპუტიკიანი

* * *

მიჯნურობა მოგვრევია
მე შენი და, შენ კი — სხვისა.
ეს რა ცეცხლი მოგვრევია,
მე შენი და, შენ კი — სხვისა.
ერთი სიტყვა გვენატრება,
მე შენი და, შენ კი — სხვისა.
სიზმრად სახე გველანდება:
მე შენი და, შენ კი — სხვისა.
ერთში მაინც ტოლები ვართ:
დარდი გვინგრევს გულის ფიცარს.
რა საბრალო მონები ვართ
მე შენი და, შენ კი — სხვისა.

თარგმნა ნაზი კილასონიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბაზალეთის ტბაზე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის

# დუშეთი

რეპორტაჟი

მძიმედ მიზოზინებენ ურმები მცხეთისაკენ. გაუსაპნავი ღერძები გულისწამღებად ჭრიალებენ. საპნის ცარიელი კათხები მოტეხილი ტოტებივით კონწიალობენ გასიპულ ქალებზე.

— მგონი მცხეთას მივატანეთ. — თქვა ხმელ-ხმელმა მეურმემ და ხარებს შეუძახა.

— ჰო, მივატანეთ, — დაუდასტურა მეორემ.

დუშეთის გზასაყართან თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ხიშტიანი სალდათები აღიმართნენ.

— სად მიხვალთ და რა მიგაქვთ? — იკითხა ერთმა მათგანმა და სისხლმორეული თვალებით მიაშტერდა მეურმეებს.

— რა უნდა მიგვქონდეს? ძაფია, ბაზალეთს მივდივართ, საფეიქრო სახელოსნოში, პელაგიასთან.

— მე პელაგია არ ვიცი, — გაიმეორა იმავე ხმამ და ყინული გამოურია ნათქვამს. მერე ყმაწვილ ჯარისკაცს მიუბრუნდა, დაღეჭილი მაზარა რომ ეცვა და უბრძანა, გაჩხრიკეო.

მეურმეებმა ერთმანეთს გადახედეს. ჯარისკაცი კოფოზე აძვრა. ყუთები ამოურია. თან დაღეჭილ მაზარას ისწორებდა. მერე მეორე ურემზე გადაძვრა.

— არაფერია, ბატონო ოფიცერო!

— რა გვარებისა ხართ? — არ ცხრებოდა ოფიცერი.

— მუსაშვილი და ხეხელაშვილი.

— პელაგია ვინღა არის?

— პელაგია ჩვენებურია, შუშიაშვილია, ღმერთმა უშველოს! სად ღირსებია მთას საქსოვი მანქანები...

ისევ აჭრიალდნენ ურმები. მეურმეებმა შვებით ამოისუნთქეს. ქვედა ყუთებში იარაღი და ტყვია-წამალი ეწყო... დუშეთის მაზრა აჯანყებისათვის ემზადებოდა.

მენშევიკები გრძნობდნენ დენთის სუნს, მაგრამ არ იცოდნენ, ვისთვის ჩაეჭიდათ ხელი.

ლეგენდასავით დადიოდა ხალხიდან ხალხში ოლღა და ვასო ხუბაშვილების სახელი. ბურღულელი კაცი უსამართლობას გამოქცეოდა, მისთვის ცოლსაც აება მხარი. პირველი პირმშოც ტყეში შეეძინათ. მთები ურწევდნენ პატარა იასონს აკვანს, მთებმა წასცხეს მირონი. ოლღას ცალ ხელში აკვანი ეჭირა და ცალ ხელში — თოფი. ქალის პატარა მკერდში დუღდა დიდი სიყვარული ჩვილისა და ქვეყნისა. სწორედ მისი ტყვია



საკონსერვო კომბინატი

საინტერესო მუშაობას ეწევა რაიონის მრეწველო კომბინატი. აქ უშვებენ კერამიკის და აგურის ნაწარმს, იქსოვება ხალიჩები, ასხამენ ვაჟას წყალს. ხალიჩებზე დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც — ლაიპციგში, ვენაში, ბაღდადში, კერამიკის ნაწარმზე კი — იაპონიაში. კერამიკის საამქროში შექმნეს ღვინის სურები „დალი“ და „ირმა“, რომლებმაც პრემია დაიმსახურეს. სწორედ „დალი“ და „ირმა“ მოსწონთ იაპონიაში. ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ლუდის კომპლექტი „ხევსური ქალი“.

ოსტატურად ქსოვენ ხალიჩებს ევა ველითაური, დუსა ბეკურიშვილი და ქუქუნა პირმისაშვილი. თითოეულს დღეში გამოჰყავს 10.000-დე კვანძი. აშია ლიქოკელმა გასულ წელს დაამთავრა სკოლა. იგი შედარებით ნელა ქსოვს, მაგრამ გაივლის წლები და მერე ნახეთ აშია...

იწვდა სოფლის სულთამხუთავს ქუმსიშვილს და მძიმედ დაჭრა.

მერე როცა მამაც ქალს ქმარი ღალატით მოუკლეს, იმავე ქუმსიშვილმა, პოლიციელთან ერთად მოიხელთა ოლღა სახლში, მაგრამ ძვირად დაუჯდათ არაკაცებს: ორმა ტყვიამ მიწას გააკრა პრისტავიც და პოლიციელიც. მაგრამ ოლღაც შეეწირა ამ საქმეს — ციხეში დალია სული შიმშილით...

მთები კი იდგნენ და ელოდნენ შუქს.

1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო აჯანყება ლორის რაიონში, სწრაფად მოედო გორის, დუშეთის, ბორჩალოს, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებს. დუშეთის მაზრა აჯანყებულთა ხელში იყო.

მთებში მზე ამოვიდა. 1922 წლის 16 თებერვალს გაიხსნა დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოების მეორე ყრილობა. ყრილობამ ერთხმად აირჩია სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის დელეგატები, მათ შორის — დუშეთის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიხა პაპუნაშვილის მეუღლე ბაბალე პაპუნაშვილი.

მთები ახლად იბადებოდნენ.

* * *

1923 წლისათვის დუშეთის მაზრა მოიცავდა დღევანდელი დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთისა და ლენინგორის რაიონებს. 1929 წლის 1 ოქტომბერს დუშეთი გამოიყო ცალკე. გადაიდგა პირველი ნაბიჯები რაიონის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ ძალზე დაებეჩავებინა მთა ავადსახსენებელ წარსულს.

* * *

დღეს ვეღარ იცნობთ დუშეთს, ფშავს, ხევსურეთს. დუშეთის რაიონში 13 კოლმეურნეობა და ერთი საბჭოთა მეურნეობა. საზოგადოებრივი მეურნეობები ითვლის 125.346 სულ ცხვარს და 3.531 სულ ძროხას. სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეადგენს 163.683 ჰექტარს.

რაიონს ემსახურება უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე 21 აგრონომი, 25 ზოოტექნიკოსი. კოლმეურნეობათა გამგეობების 13 თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლებითაა 10. ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

საქვეყნოდ გაითქვეს სახელი რაიონის კოლმეურნეებმა. ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა მლეთელი თავჩობანის, სოციალისტური შრომის გმირის ყარამან გაგაძის სახელი. ჭართლელმა მწველავმა სონა ქავთარაძემ 10 ფურიდან 12 ხბო გამოზარდა, 700 კილოგრამის ნაცვლად 1.700 კილოგრამი რძე მიიღო თითოეულ საფურაყე ძროხაზე. მას ტოლს არ უდებენ ხანდოელი ნინო ქავთარაძე, ნატო არგანაშვილი, ევა ბუჩუკური, სოფიო მიყორაშვილი, თამარ გვიანიშვილი, ნინო ბეყოშვილი, მაშო გვრიტიშვილი, ნინო შოთიაშვილი, მართა ქურციკაშვილი, შუახეველი მესიმინდე მაყვალა კორაშვილი, ახალგაზრდა მევენახე მერცია ბუთხუზი. სკოლის მერხიდან მოვიდნენ ფერმაში კომკავშირელი გოგონები ნ. ნარიმანიძე და ლ. წამალაძე. კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატი იყო ფშაველი გოგონა ლალი ლოსურაშვილი, რომელიც 19 ძროხას უვლის.

მძლავრი ნაბიჯებით ვითარდება მრეწველობა. 1959 წელს ამუშავდა დუშეთში საკონსერვო ქარხანა. მისი წარმადობა ახლა 3 მილიონი პირობითი ქილა კონსერვია. საკონსერვო ქარხნის მთავარი ინჟინერია ტექნოლოგი მერი ვაშაკიძე. ლიანა ჭონქაძე ქარხნის მშენებლობაში იღებდა მონაწილეობას. ახლა იგი კომუნისტებმა აირჩიეს წინამძღოლად და კარგად უთავსებს შრომასა და სწავლას. საამქროს ცვლის ოსტატი ეთერ სესიაშვილი და ლაბორანტი ნანული ცილიკიშვილი დაუსწრებლად სწავლობენ უმაღლეს სასწავლებელში. ქარხნის მთავარი მექანიკოსი ნანა კალანდაძე კოლექტივის სული და გულია. ქარხნის კოლექტივმა, რომლის ძირითად ბირთვს ქალები შეადგენენ, უკვე შეასრულა წლიური გეგმა.



ლამარა გოგოლაური — სოფ. ჭოპორტის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

მალე დუშეთში ამუშავდება რადიოქარხანაც. 35 ქალიშვილი უკვე ეუფლება პროფესიას ნოვოსიბირსკში.

* * *

დუშეთის რაიონის მშრომელებს ყველაზე მეტად უგზოობა აწუხებდათ. 1934 წელს დამთავრდა ჟინვალ-ბარისახოს გზის მშენებლობა. იმავე წელს ბარისახოში ავიდა პირველი ავტომობილი. 1935 წლის გაზაფხულზე დაიწყო ფშავ-ხევსურეთის გზის გაფართოება. ამავე წელს დამთავრდა მჭადიჯვარ-გრემისხევის გზის მშენებლობა.

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა შატილში. 1967 წელს აციმციმდა ილიჩის ნათურა, აშენდა ბინა სასოფლო საბჭოსა და სოფლის სამკითხველოსათვის, გახსნილია ტურისტული ბაზა, მალე დაიწყება სკოლა-ინტერნატის და საავადმყოფოს მშენებლობა. შენდება შატილის გზა. შატილამდე დარჩა თითებზე დასათვლელი კილომეტრები...

შენდება დუშეთი. მთავრდება ორი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიმდინარეობს არაგვი-დუშეთის წყალსადენის მშენებლობა, რომლის ღირებულება 670 ათასი მანეთია. შენდება 300-ადგილიანი საბავშვო ბაღი.

* * *

წარსულს ჩაბარდა ბნელი დრო. მძლავრად მოიკიდა ფეხი განათლებამ მთაში. რაიონში ახლა 129 სკოლაა. მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს ემსახურება 742 მასწავლებელი, 47 აღმზრდელი და 22 უფროსი პიონერხელმძღვანელი. მასწავლებელთა საერთო რიცხვიდან 488 ქალია; უმაღლესი განათლებითაა — 480. 26 ქალი ატარებს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებას. 3 მასწავლებელ ქალს მკერდს უმშვენებს ლენინის ორდენი.

...მთაში, სოფელ ნაღვარევში დაიბადა ნინო ოსიტაშვილი. მამით ობოლი ბავშვი დედამ ძლივს მოაწყო თბილისში ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში. დაამთავრა სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო მლეთის ოთხწლიან სამრევლო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. შემდეგ კი სოფელ ნაღვარევში გადაიყვანეს. 1919 წლიდან ფასანაურის სკოლის მასწავლებელია. 48 წელი იმუშავა ნინო ოსიტაშვილმა სკოლაში და ლენინის ორდენით მკერდდამშვენებული გააცილეს პენსიაზე. ახლა იგი შვილიშვილების აღზრდას ახმარს დარჩენილ ენერგიას.

სასახელოდ შრომობენ მოზარდი თაობის აღზრდისათვის დუშეთის I საშუალო სკოლის დირექტორი ქრისტინე ბაშარული, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მიმლი როსტიაშვილი, სკოლა-ინტერნატის დირექტორი ოლია ბურდული, მლეთის საშუალო სკოლის დირექტორი ლიდა ბურდული, ჭართლის რვაწლიანი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი მაგდანა ქავთარაძე, მასწავლებლები: ნუნუ მაჩიტაძე, სოფიო კობალაძე, ელენე საკარული, შუშანა მაჭავარიანი და მრავალი სხვა, რომელთა სახელებთანაცაა დაკავშირებული მთიულეთის, ფშავისა და ხევსურეთის განათება ცოდნის სინათლით.

* * *

რაიონის მშრომელები ამაყობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიით, რომელსაც არსებობის 125 წელი შეუსრულდა და რომელიც კავკასიის ტერიტორიაზე ერთადერთია. მაგნიტური ობსერვატორიის პავილიონებში გამართული სხვადასხვა ხელსაწყოების შემწეობით შესაძლებელია დედამიწაზე და კოსმოსში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესწავლა. ობსერვატორიაში მოპოვებული მასალა მაღალ შეფასებას იმსახურებს. ამ უნიკალური მასალის მოპოვებისა და ანალიზის საქმეში წამყვან როლს ასრულებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გეოფიზიკის

დუშეთის ცენტრალური მოედანი



ინსტიტუტის გეომაგნიტიზმის განყოფილების ხელმძღვანელი ნინო კაციაშვილი. 40 წელიწადია იგი აქტიურად მონაწილეობს ობსერვატორიის საქმიანობაში, 1943 წლიდან 1953 წლამდე იყო დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიის ხელმძღვანელი, ამჟამად ობსერვატორიის მაგნიტური ნაწილის მეცნიერული ხელმძღვანელია, მის კალამს ეკუთვნის 25-ზე მეტი მეცნიერული შრომა.

ობსერვატორიის მეცნიერი-თანამშრომელი ერმონია იოსების ასული ხახუტაშვილი სათავეში უდგას გეომაგნიტოლოგთა ჯგუფს. მის აღზრდილთაგან ბევრი სამეცნიერო ხარისხის მქონეა.

ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომელმა ნაზი ნამგალაურმა წარმატებით დაამთავრა ასპირანტურა და მზადა აქვს სადისერტაციო შრომა: „კავკასიის მაგნიტური ველის შესწავლა სიხშირეთა გამოყენებით“.

* * *

გვესაუბრება რაიონის მთავარი ექიმი რევაზ მელაძე ჯანმრთელობის დაცვისა და რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობაზე. უკანასკნელი 10 წელია რაიონში არ ყოფილა სიკვდილის არც ერთი შემთხვევა მშობიარობის დროს. მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას 500-მდე მუშაკი. 66 ექიმიდან 34 ქალია. მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელ მაზრას ემსახურებოდა 2 ექიმი და 3 ფერშალი!

საუბნო საავადმყოფოს გამგეებად მუშაობს 3 ქალი, ხოლო ამბულატორიის გამგედ — 4. ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსანია 10 ქალი. რაიონში მუშაობს 1 სამშობიარო სახლი, 4 საავადმყოფო, 11 ამბულატორია, 1 სანეპიდსადგური, 7 აფთიაქი, ორი სასწრაფო დახმარების ბრიგადა. კარგი შედეგი გამოიღო კლინიკო-დიაგნოსტიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიების გაერთიანებამ, რომელსაც ექიმი გრეტა ღოღობერიძე ხელმძღვანელობს. მარჯვენას ულოცავენ რაიონის მშრომელები მთავარი ექიმის მოადგილეს როზა ხუტიაშვილს, ფასანაურის საუბნო საავადმყოფოს გამგეს ნინო ჩოხელს, ბარისახოს საავადმყოფოს გამგეს ამალია სტეფანოვას, რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმებს: სონია ბურდულს, ზინა რიჟინაშვილს, ელენე ბუჩუკურს, მთიელთა თვალისჩინია თვალის ექიმი ევგენია დოლიძე. სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობენ ექიმის თანაშემწეები: გულნარა მაისურაძე, მარიამ ბაბუნაშვილი, ეთერ ცქიმანაური, თამარ პაპიაშვილი.

* * *

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა რაიონის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სათავეში უდგას ნატალია ბაშარული. სამმართველოს 20 ობიექტი აქვს დუშეთში, ხოლო 30 — სოფლებში. ქალებს ემსახურება საპარიკმახერო, სამკერვალოები, კოსმეტიკის კაბინეტი, ქიმწმენდა, სამღებრო; მალე ამუშავდება სამრეცხაო. რაიონის ცენტრში მუშაობს აბანო. აბანოები შენდება ფასანაურში, ბარისახოში, მჭადიჯვარში. რაიონის მოსახლეობა მესამე წელია სარგებლობს ბუნებრივი გაზით.

* * *

დუშეთის რაიონს ემსახურება საცალო ვაჭრობის 104 და საზოგადოებრივი კვების



ეროვნული ბიბლიოთეკა

41 ობიექტი, სადაც დასაქმებულია 478 მუშაკი. აქედან 231 ქალია. მაღაზიის გამგე-ვამყიდველებად და მატერიალურ პასუხისმგებელ პირებად მუშაობს 126 ქალი. ხელმძღვანელ სამუშაოზეა 12 ქალი.

უკანასკნელ ხანს აშენდა კეთილმოწყობილი პურის საცხობები, უნივერმაღები, რესტორნები. აღსანიშნავია უნივერმაღის შენობა დუშეთში, სავაჭრო ცენტრი მაღაროსკარში, კაფე-რესტორანი ფასანაურში, უნივერმაღი მჭადიჯვარში, ჟოპორტში, ჩანადირებში, მიმდინარეობს სავაჭრო ცენტრის მშენებლობა დაბა ფასანაურში. შრომის ავანგარდში არიან ქალები: ფასანაურის უნივერმაღის გამგე-გამყიდველი ნ. მელიქიშვილი, ჟინვალის სამეურნეო მაღაზიის გამგე-გამყიდველი თ. ნათაძე, მლეთის მაღაზიის გამგე-გამყიდველი მ. გაგაძე, დუშეთის უნივერმაღის გამყიდველი ლ. მჭედლიშვილი.

* * *

ნაყოფიერად მუშაობენ რაიონში სახალხო თეატრი, კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, კინოთეატრი საზაფხულო და საზამთრო დარბაზებით, 8 სტაციონალური კინოდანადგარი და 4 მოძრავი კინოდანადგარი. კეთილმოწყობილი კლუბებია ანანურში, ციხისძირში, მაღაროსკარში, ქვეშეთში, ჟოპორტში, მჭადიჯვარში, ოძისში, ფასანაურში. სახელი გაითქვა ჟოპორტელმა მექანიკოსმა ქალმა ელისაბედ საძაგლიშვილმა. სახალხო თეატრთან მუშაობს საესტრადო ანსამბლი „არაგველები". 1936 წელს, მაისში, დუშეთში მოეწყო რადიოსტუდია, დაიწყო ადგილობრივი რადიოგადაცემები. ახლა ჩვეულებრივი ამბავია რადიო, ტელევიზორი, ელექტრონი, ბიბლიოთეკა.

ასე შემოვიდა სინათლე მთებში.

* * *

შავი ღრუბლებით შემოვიდა 1941 წლის 22 ივნისი მთებში. შუბლი შეიკრეს მთებმა. მიდიოდნენ სამშობლოს დასაცავად მთიულები, ფშაველები, ხევსურები...

ტონჩელ ქალიშვილს ნუცა შალიკაშვილს უნივერსიტეტში, მერხზე მოუსწრო ომმა. 20 წლის ქალიშვილმა დატოვა ლექციები და დაიწყო ბრძოლა ფაშისტური სვავების წინააღმდეგ, საზენიტო არტილერიაში.

ბრძოლის ასეთივე გზა განვლო დარია ახალშენიშვილმა, რომელმაც ბევრი სიცოცხლე იხსნა. იგი დღესაც მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზეა.



ომის პირველ წლებში დუშეთის რაიონიდან ფრონტზე წავიდა 6.000-ზე მეტი კაცი და ქალი. კაცები აღარ იყვნენ სოფელში. სწორედ მაშინ მიუსხდნენ ტრაქტორის საჭეს ელენე ნადიბაიძე, თამარ და მარიამ პირმისაშვილები, საბედა მერაბაშვილი, ნადია ქაზუმაშვილი, ქეთევან ჟონქაძე, სალომე შალაშვილი, ანეტა ზეიკიძე, ნინო ქავთარაძე. ლიზა არაბულმა და რუსუდან ლაზვიაშვილმა კი თავმჯდომარე კაცები შესცვალეს.

## მადლი მიწისა

გავეცანით არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს სალომე ჯარიაშვილს, ჯერ მეურნეობას გადავხედოთ: ხეხილის ბაღი 392 ჰექტარზეა გადაჭიმული. მსხმოიარეა 47 ჰექტარი. ვენახს უკავია 393 ჰექტარი. მსხმოიარეა 48 ჰექტარი. მიმდინარე წელს კიდევ გაშენდება 147 ჰექტარი ხეხილის ბაღი და 100 ჰექტარი ვენახი. თავთავიანი კულტურები უთესიათ 633 ჰექტარზე. მეურნეობა მრავალდარგოვანია. 1.645 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ, 10.259 სული ცხვარი, 673 ღორი და 2.867 ფრთა ფრინველი. მეურნეობის განკარგულებაშია 29.309 ჰექტარი მიწის ფართობი, ჰყავს 2.286 მუშა-მოსამსახურე. გასულ წელს მიღებულმა საერთო შემოსავალმა შეადგინა 590.220 მანეთი, 1970 წელს კი დაგეგმილია 627.241 მანეთი შემოსავალი. მეურნეობას ამშვენებენ ისეთი მოწინავე ადამიანები, როგორებიც არიან ნინო ქადაგიშვილი, სონა ჩანადირი, კატო ქიმბარიშვილი, მარგო შალიაშვილი.

...თვითონ სალომეს ვერაფერს ათქმევინებ ამ დიდსა და გაშლილ მეურნეობაზე. 1948 წელს, მჭადიჯვრის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სალომე კოლმეურნეობაში შევიდა. შემდეგ იგი სასწავლებლად გაგზავნეს საგურამოში. 1957 წლიდან მუშაობს შუახევის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსად. 1959 წელს სალომე სწავლას აგრძელებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და 1965 წელს იღებს აგრონომის კვალიფიკაციას; მჭადიჯვრის, შუახევისა და ჭილურტის კოლმეურნეობების გამსხვილების შემდეგ მუშაობს მთავარ აგრონომად. 1966-1968 წლებში მჭადიჯვრის კოლმეურნეობის კომუნისტებს ედგა სათავეში. 1968 წელს მშრომელ ქალს შუახევის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ ირჩევენ, ხოლო 1970 წლის ივნისიდან საბჭოთა მეურნეობის დირექტორად გადაყავთ.

იგი ჩვენს წინ ზის და გატაცებით ლაპარაკობს მეურნეობის მომავალზე, დიდ გეგმებზე, ხალხზე; კილოც ისეთი აქვს, ვაჟკაცური, გულიც ისეთი აქვს — სიკეთით სავსე. მშობელ მიწაზე დგას და მშობელი მიწა აძლევს ძალას მთებისას.

## გახსენება

ჟურნალ „ისკრის" 1913 წლის ნომერში გამოქვეყნდა ფოტომოთხრობა სათაურით — „მომაკვდავი ტომი". ეს „მომაკვდავი ტომი", ავტორის აზრით, ხევსურები იყვნენ... რომელთაც „ჯვაროსანთა ნაშიერსაც" უწოდებდა ზოგიერთი ავტორი. ცხადია, ხევსურების სახით იგულისხმებოდა მთელი მთა, ფშავი, ხევსურეთი. დრომ გულიანად დასცინა ყველას, ვინც ამ მთებში „მომაკვდავ ტომს" ხედავდა... ვაჟა, მარტო ვაჟა ეყოფოდა სახელად მთას!.. თედო და ლუკა რაზიკაშვილები, დანიელ ჭონქაძე, მიხეილ ზანდუკელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ქაიხოსრო ზანდუკელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ციალა ინაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ლევან ჟიჟიაშვილი, პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი სარა ბედუკაძე, თინა, ირაკლი და გიორგი ოჩიაურები, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თამარ ბურდული, მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი მარიამ ალუდაური... დუშეთის რაიკომის მდივანი, აგრონომი ვენერა შერგილაშვილი... და კიდევ: ვინ მოსთვლის მათ სახელებს? !

ფართოდ გაშალა მთამ მხრები!

**ბეგლარ ნოზაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქ იწყება სიცოცხლე

მათ აბარია ყველაზე უმწეო და ყველაზე სათუთად მოსავლელი. ამ მაღალ, კომფორტაბელურ შენობაში, რომელიც თელავის სამშობიარო სახლის სახელს ატარებს, არ იციან განსხვავება დღესა და ღამეში. ყოველწუთს მზადყოფნაში არიან აქაური ექიმები, ექთანები, ბებიაქალები. ისინი მხოლოდ მომავალ დედაზე, ან დედასა და ახალშობილზე ფიქრობენ.

შენობის წინ ნორჩი ნაძვები დაურგავს სიცოცხლეზე შეყვარებულ მთავარ ექიმს. ალბათ, ოდესმე ეს ნაძვები საჩრდილობელს შეუქმნიან ამ ფართო ფანჯრებს. შენობაში ყველაფერი ბზინავს, ყველგან იდეალური წესრიგი იგრძნობა, ყველაფერს სწვდება მთავჯრი ექიმის ქეთევან ქავთარაძის თვალი. ოპერაციები წარმატებით უნდა ჩატარდეს, გართულებები არ უნდა ჰქონდეთ, მშობიარე არ უნდა დაიღუპოს, ყველა ახალი სიცოცხლე უკლებლივ უნდა შეემატოს მის წინამორბედთ — ეს არის ყოველ წუთს სამახსოვრო, ყოველდღიური საბრძოლო ამოცანა.

ამ ამოცანას ემსახურება ქეთევან ქავთარაძე თელაველთა საკეთილდღეოდ აგერ უკვე 35 წელია. აქ რომ ჩამოვიდა, მაშინ ახალგაზრდაც იყო და სამოღვაწეოდ დიდ ასპარეზსაც ეძებდა, მაგრამ არაფერი არ დახვედრია მშობიარისთვის განკუთვნილი 3 საწოლის გარდა. იმხანად თელავსა და მის ახლო-მახლო რაიონებში ქალებს ბებიაქალები შინ ამშობიარებდნენ.

ქეთევანმა პირველ ხანებში იმას მიაღწია, რომ სამი საწოლის ნაცვლად 12 საწოლი დაიდგა, შემდეგ — 32, შემდეგ — 42, შემდეგ — 100. ქეთევანმა მიაღწია იმასაც, რომ გვერდით ამოიყენა საბჭოთა პრინციპებზე აღზრდილი ექიმები და ექთანები.

დღეს კეთილმოწყობილი, სარაიონთაშორისო სამშობიარო სახლი დგას თელავში, შესანიშნავი საოპერაციოთი აღჭურვილი, უდღეური ბავშვებისათვის განკუთვნილი ინკუბატორით, ყველა სახის მედიკამენტით უზრუნველყოფილი. აქ იბადებიან პატარა თელაველები, გურჯაანელები, ყვარელელები, თელავის მეზობელი რაიონების მომავალი მკვიდრნი.

აქ ოთხი წელია მშობიარე არ დაღუპვიათ. გასულ წელს 1525 ქალმა იმშობიარა და მათგან 40 პროცენტი არ იყო თელაველი.

აქ იწყება სიცოცხლე და იგი მოსავლელად აბარია ექიმებს — სონია გოგიაშვილს, ელენე დოლაბერიძეს, თინა პატარიძეს, ვერა არჩევანიძეს, კატო ლეკიშვილს, იათამზე შამანაურს, უფროს მედდას ზანდო მურადოვას, ბებიაქალებს — ანა კიმოთიძეს, ვერა ტატოშვილს, მანია ბეროზაშვილს და სხვებსაც, რომლებიც ყოველდღე თეთრ ხალათს იცვამენ და წმინდა საქმის სამსახურში დგებიან.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედისა და ბავშვის ინტერესების დაცვისათვის

**ზინაიდა კვაჭაძე,**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

სოციალისტურ საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება ოჯახის როლი და ეს სრულიად კანონზომიერია, რადგან ყოველი პიროვნების ჩამოყალიბება ოჯახში იწყება, ოჯახში ეძლევა დასაბამი მის მორალურ თვისებებს, შინაგან და გარეგან კულტურას.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ოჯახის პრობლემას, მშრომელი ქალის მდგომარეობას ოჯახსა და საზოგადოებაში, დედისა და ბავშვის უფლებათა დაცვას.

ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში ლენინის ხელმოწერით გამოიცა ორი დეკრეტი: „სამოქალაქო ქორწინების, ბავშვებისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნების შემოღების შესახებ“ და „განქორწინების შესახებ“, რომლითაც გაუქმდა რუსეთის იმპერიის ყველა ძველი ბურჟუაზიული კანონი, რომლებიც ქალს მამაკაცთან უთანასწორო მდგომარეობაში აყენებდა. აღნიშნულმა დეკრეტებმა ძირფესვიანი გადატრიალება მოახდინა საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის დარგში. დეკრეტებში გათვალისწინებული იყო საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობის ძირითადი პირობები და მთლიანად იყო დაფუძნებული იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ პირველად მსოფლიოში ქალი თავისი უფლებებით ოჯახური ურთიერთობის ყველა დარგში სავსებით გაუთანაბრა მამაკაცს.

საქართველოს სსრ ახალი საქორწინო და საოჯახო კოდექსი, რომელიც მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ და ძალაში შევიდა 1970 წლის 1 ოქტომბრიდან, კიდევ უფრო განამტკიცებს ქალის ფაქტიურ თანასწორუფლებიანობას, კიდევ უფრო ამაღლებს დედის ავტორიტეტს, მეტ ყურადღებას უთმობს მომავალი თაობის აღზრდის საკითხს.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი აგებულია ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად და, ამავე დროს, ითვალისწინებს რესპუბლიკის ეროვნულ თავისებურებებს.

ახალ კოდექსში აისახა მრავალი ნორმა, რომელიც გათვალისწინებული არ იყო წინა კოდექსში და ახლებურადაა გადაწყვეტილი ბევრი ის საკითხი, რომლებიც მოქმედ კანონმდებლობას არ აკმაყოფილებდა.

ჩვენს ქვეყანაში დედა გარემოცულია საყოველთაო-სახალხო პატივისცემითა და დაფასებით, მას იცავს და ახალისებს სახელმწიფო, რადგან დედა უდიდეს როლს ასრულებს მომავალი თაობის აღზრდაში, აძლევს ბავშვებს მთელ თავის ძალასა და დედობრივ სითბოს, რათა ისინი ზნეობრივად და ფიზიკურად ჯანსაღი აღიზარდნონ, გახდნენ სოციალიზმის ქვეყნის ღირსეული შვილები.

დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვა უზრუნველყოფილია სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნით, ორსულობისა და მშობიარობის გამო ქალისათვის ხელფასიანი შვებულების მიცემით, ორსული ქალებისა და დედებისათვის შეღავათების დაწესებით, წარმოებაში ქალთა შრომის დაცვით. მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემით, აგრეთვე ოჯახისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარების გაწევით.

თუმცა ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი მიმართულია ოჯახის შექმნისა და განმტკიცებისაკენ, საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობას არ შეუძლია უარი თქვას განქორწინებაზე, როცა ეს მეუღლეთა შორის შექმნილი შეურიგებელი ურთიერთობიდან ერთადერთი გამოსავალი და დაშვებული შეცდომების გასწორების ერთადერთი გზაა. მაგრამ განქორწინების უფლება თვითნებობის, თავაშვებულობის უფლებას როდი ნიშნავს!

ახალი კოდექსით ნებადართულია განქორწინება მოხდეს მმაჩშიც, სასამართლოს გარეშე, თუ ერთ-ერთი მეუღლე აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად, ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფია ან დანაშაულისათვის მსჯავრდადებულია თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ 8 წლისა. გარდა ამისა, კოდექსი ადგენს, რომ მმაჩში შეიძლება მოხდეს განქორწინება, როცა ცოლიც და ქმარიც ამის მომხრეა და მათ არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები.

ახალი კოდექსი დიდ ყურადღებას უთმობს ქალისა და ბავშვის ინტერესების დაცვას. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ის ახალი მუხლი, რომლის თანახმადაც ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინების შესახებ.

კოდექსის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მეუღლე ყოფილი მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან ან განსაზღვრული ვადით შეუზღუდოს ეს მოვალეობა, იმ შემთხვევაში, როცა მეუღლეები ქორწინებაში იმყოფებოდნენ ხანმოკლე დროით და თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნმა მეუღლემ უღირსი საქციელი ჩაიდინა ალიმენტის გადამხდელის მიმართ; აგრეთვე, თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნი მეუღლის შრომისუუნარობა გამოწვეულია ლოთობით, ნარკოტიკული ნივთიერებების სისტემატური მიღებით ანდა მის მიერ დანაშაულის ჩადენით.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვები „გაბატონებული კლასია“. საბჭოთა სახელმწიფოს წარმოქმნის დღიდან გამოსული ბევრი დეკრეტი, კანონი თუ დადგენილება მიმართული იყო ბავშვების უკეთესი მომავლისაკენ. ეს კოდექსიც ახალი დადასტურებაა იმისა, თუ რარიგ ზრუნავს საბჭოთა სახელმწიფო ბავშვებისათვის.

ცხოვრებაში ზოგჯერ ხდება ასე: ადამიანები დიდხანს ცხოვრობენ ფაქტიურ ქორწინებაში, შექმნეს ოჯახი, მაგრამ თავიანთი ურთიერთობა არ გაუფორმებიათ. ასეთი ოჯახის დანგრევისას მამას შეეძლო ბავშვისათვის დახმარება არ გაეწია. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. კოდექსი დედას უფლებას აძლევს ამგვარ შემთხვევებში სასამართლოს მიმართოს მამობის დადგენისა და ალიმენტის მიღებისათვის. იღებს რა მხედველობაში ბავშვების ინტერესებს, კოდექსი ახალი ნორმებით ითვალისწინებს მათთვის მამობის დადგენის წესს. კოდექსის 51-ე მუხლში აღნიშნულია, რომ შვილის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ქორწინებაში არ არიან, დადგინდება მათ მიერ მმაჩში ერთობლივი განცხადების შეტანით. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მამას არ სურს თავი მამად აღიაროს, მამობა დადგენილი იქნება სასამართლოს წესით, თუ სარჩელს აღძრავს ბავშვის დედა, მეურვე ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

'', ვის კმაყოფაზეც ბავშვი იმყოფება, ან თვითონ ბავშვი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

მამობის დასადგენად სასამართლო მხედველობაში მიიღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ან დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

ზემოაღნიშნული წესით მამობის დადგენის შემდეგ ბავშვებს მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინებაში მყოფი მშობლებისაგან დაბადებულ ბავშვებს.

კოდექსში დაწვრილებით რეგლამენტირებულია მშობლების უფლება-მოვალეობანი ბავშვების მიმართ, მოწესრიგებულია მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობებთან დაკავშირებული საკითხები, განსაზღვრულია მშობლების მიერ შვილების რჩენისა და შვილების მიერ მშობლების რჩენის მოვალეობები, არასრულწლოვანი შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა, ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესები და სხვა საკითხები.

არის შემთხვევები, როდესაც ალიმენტის გადამხდელს ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილი არიან, ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს იღებენ. ასეთ გარემოებაში, ახალი კოდექსის თანახმად, სასამართლომ შეიძლება შეამციროს ალიმენტის ოდენობა. ალიმენტის შემცირება შეიძლება მაშინაც, თუ მშობელი, რომელსაც ალიმენტს ახდევინებენ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდია, ან თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ.

სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე შეამციროს ალიმენტის ოდენობა ან ალიმენტის გადახდისაგან გაათავისუფლოს მშობელი თუ შვილები სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულ კმაყოფაზე არიან.

ალიმენტს იხდიან ნებაყოფლობითი წესით, მაგრამ ალიმენტის მიმღებს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

კანონის ბევრი ნორმა მიმართულია მშობლების პასუხისმგებლობის გაძლიერებისაკენ. ხაზგასმულია, რომ ბავშვის აღზრდა ოჯახში შერწყმული უნდა იყოს საზოგადოებრივ აღზრდასთან. სწორი არ არის, როცა მშობლები ამბობენ: ჩემი შვილია, როგორც მინდა, ისე აღვზრდიო. ბავშვების აღზრდა ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი საქმეა და კოდექსი ადგენს — ვინც ვერ ართმევს თავს მშობლის მოვალეობას, მას ჩამოართმევენ მშობლის უფლებას.

მართალია, ბავშვები ჩვენს ქვეყანაში საბავშვო სახლებშიც გარემოცულნი არიან სიყვარულითა და მზრუნველობით, მაგრამ მაინც ბავშვს ოჯახის სითბოს ასეთი სახლი ძნელად შეუცვლის. ბევრ საბჭოთა მოქალაქეს შვილად აყავს ხოლმე უდედ-მამო ბავშვი. როგორც წესი, შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვისა. შვილად აყვანა ხდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

მშვილებელი უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი მოქალაქე. პირს, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, ან რომელსაც ადრე ჰყავდა ნაშვილები და შვილად აყვანა გაუქმდა მის მიერ მშვილებლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, შვილად აყვანის უფლება არა აქვს.

თუ ბავშვს მშობლები ჰყავს, აუცილებელია მათი თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე. გაშვილებაზე მშობლების თანხმობა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ ისინი დადგენილი წესით აღიარებული არიან არაქმედუნარიანად ან უკვალოდ დაკარგულად.

არის შემთხვევები, როდესაც ნაშვილებ ბავშვს მშვილებლები სათანადო აღზრდა-მზრუნველობას აღარ უწევენ, ასეთ პირებს მშობლის უფლება ჩამოერთმევა.

ბავშვის გაშვილება მშობლების თანხმობის მიუღებლად, გამონაკლისის სახით, შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მშობლები თავს არიდებენ ბავშვის აღზრდაში მონაწილეობას, კერძოდ, თუ ისინი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მათი გაფრთხილების მიუხედავად, განზრახ არ იღებენ მონაწილეობას ბავშვის აღზრდასა და რჩენაში ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა, აუცილებელია ბავშვის თანხმობა. თანხმობას არკვევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობს და მშვილებელს თავის მშობლად თვლის. ასეთ შემთხვევაში, შვილად აყვანის თანხმობა საჭირო არ არის, რადგან ამან შეიძლება ტრავმა მიაყენოს ბავშვს და მის აღმზრდელებსაც.

ნაშვილები და მისი შთამომავლობა — მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები — ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლებებითა და მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს.

შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით. შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმის განხილვის ყველა შემთხვევაში აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევა. შვილად აყვანის გაუქმებისას წყდება ნაშვილებსა და მშვილებლის, აგრეთვე მათ ნათესავებს შორის არსებული ურთიერთუფლებები და ურთიერთმოვალეობები და აღდგება ურთიერთუფლებები და ურთიერთმოვალეობები შვილსა და მის მშობლებს, აგრეთვე შთამომავლობით ნათესავებს შორის.

ამ დებულებიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც შვილად აყვანა უქმდება მშვილებლის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების გამო. ასეთ შემთხვევებში ბავშვს ენახება უფლება მიიღოს ალიმენტი მშვილებლისაგან კანონით დადგენილი წესით. დაუშვებელია შვილად აყვანის გაუქმება ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შვილად აყვანის გაუქმებაზე არსებობს ნაშვილების, მისი მშობლებისა და მშვილებლის თანხმობა.

ასეც ხდება ხოლმე, რომ ოჯახს ბავშვი ნაშვილები ჰყავს, მან კი არაფერი იცის. რაიმე დაუდევრობის შედეგად, ხან კი შეგნებულადაც, ბოროტი ზრახვით ბავშვს ვილაც გააგებინებს, რომ ის ნაშვილებია და, თუმცა, მის მიმართ ოჯახში არაფერი შეცვლილა, ბავშვი გულს აიყრის მშვილებლებზე.

**ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დააყენა საკითხი, რათა კანონმდებლობაში გათვალისწინებინათ მუხლი ასეთ ბოროტგანმზრახველთა დასასჯელად. რედაქციის თხოვნა დაკმაყოფილებულია და, ახალი კოდექსის მიხედვით, გაშვილების საიდუმლოს გამცემი პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით.**

ახალი კოდექსი უზრუნველყოფს შვილად აყვანის საიდუმლოებას. ამ ნორმის თანახმად, მშვილებლის თხოვნით, შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველსაყოფად, დოკუმენტში შეიძლება შეიცვალოს ნაშვილები ბავშვის დაბადების ადგილი. მშვილებლის თანხმობის გარეშე ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში — თუ ბავშვის მეურვე ან მზრუნველი არ მისცემს თანხმობას, აკრძალულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნებიდან ისეთი ამონაწერების გაცემა, საიდანაც ირკვევა, რომ მშვილებელი ნაშვილების ღვიძლი მშობელი არ არის. ამ ნორმის დარღვევისათვისაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს სათანადო სასჯელს.

ეჭვს გარეშეა, რომ ახალი კანონმდებლობა ხელს შეუწყობს დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვას, ბავშვთა სწორ აღზრდას, საბჭოთა ოჯახის შემდგომ განმტკიცებას.

კოდექსის პოპულარიზაციაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, ქალთა კომისიებმა და პრესამ, განსაკუთრებით კი, ჩვენმა ჟურნალმა „საქართველოს ქალმა".



მაყო — „ძველი ვოდევილები" (ა. წერეთლის „მუტიაობა").

# ქართული ხასიათი

„ვენაცვალე შენს ნიჭს, ჩემო სანატრელო პარტნიორო! ყოველთვის მინდა შენთან ვიყო, შენს გვერდით ვიყო სიკვდილამდე. ლენა" — ეს სიტყვები ეკატერინე ვერულაშვილის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულმა ანიკოს სახემ (ო. ჩხეიძის „ვისია ვისი?!") დააწერინა ელენე ყიფშიძეს. ასე უყვარდე შენს კოლეგას, ასე გაფასებდეს იგი — იშვიათი ბედნიერებაა.

„...ეკატერინე ვერულაშვილი ისეთი მსახიობია, რომლისაგანაც მუდამ ახალს მოველით. მე მგონია, მისი ნიჭი ამოუწურავია. ამ ფილმშიც („დიდედები და შვილიშვილები", რეჟისორი ნ. მჭედლიძე) ასეა, პატარა, ეპიზოდური როლი აქვს, მაგრამ რაოდენი ტემპერამენტი, კოლორიტი იგრძნობა მასში", — ასეთი შეფასება მისცა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, კინოკრიტიკოსმა გიორგი დოლიძემ გაზეთ „ეკრანის ამბების" ფურცლებზე ეკატერინე ვერულაშვილის აქტიორულ შესაძლებლობებს.

„ეკ. ვერულაშვილმა საოცრად ზუსტად გაიგო და გადმოგვცა როლის სტილისტიკა, იგი გარეგნული წარმოსახვიდან სწვდება თავისი გმირის შინაგან სამყაროს, გულდასმით ამუშავებს როლის თითოეულ დეტალს", — ეს სიტყვები კინოსტუდია „მოსფილმის" მიერ შექმნილი ფილმის „ალადინის ჯადოსნური ლამპარის" სცენარის ავტორს ვიქტორ ვიტკოვიჩს ეკუთვნის.

რიგითი მაყურებელი კი, რომელსაც ყოველთვის არა აქვს შესაძლებლობა პრესის საშუალებით გამოთქვას აზრი და გამოხატოს თავისი ალტაცება, უშუალოდ პარტერში ყოფნისას ავლენს თავის განწყობილებას, დამოკიდებულებას მსახიობისადმი. საკმარისია ე. ვერულაშვილის მხოლოდ გამოჩენა, სცენაზე იქნება ეს თუ ეკრანზე, რომ დარბაზი მყის გამოცოცხლდეს. მაყურებელი ხალისით ეგებება მსახიობს, ვინაიდან იცის, მისი თუნდაც უსიტყვო გამოსვლაც კი რაღაც ახალს, ორიგინალურს ჰპირდება.

მაყურებლის ამგვარი აღიარება ერთბაშად არ მოსულა ეკატერინე ვერულაშვილთან. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1940-1956 წლების მანძილზე, იგი პერიფერიის თეატრებში მუშაობდა. ყველაზე დიდხანს მაინც თელავის სახელმწიფო თეატრში დაჰყო, სადაც მკვეთრად სახასიათო, მრავალფეროვან სახეთა მთელი გალერეა შექმნა. მათი უმრავლესობა დღეს ქართული აქტიორული ოსტატობის მაღალ ნიმუშთა რიცხვს განეკუთვნება; მათ შორისაა: გრიშუტკა (ვ. დარასელის „კიკვიძე"), მედინა ხვანწკარია (ვ. პატარაიას „უჩა უჩარდია"), მართა (ვ. ჯავახიშვილის „ვაზისუბნელი ძმაკაცები"), არინა პანტელეევნა (გოგოლის „ქორწინება") და სხვ.

1956 წლიდან ეკ. ვერულაშვილი გადმოდის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. გადმოდის როგორც საკუთარი ხელწერის, ორიგინალური თვალთახედვის შემოქმედი. პირველივე როლმა (ანეტა — ზ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი", დადგმა კ. სურმავასი) თვალნათლივ გამოავლინა ე. ვერულაშვილის მახვილი კომედიური ნიჭი, სახის არსში ღრმად წვდომის უნარი. ანეტა მეტად უმნიშვნელო, ეპიზოდური სახეა, მას არავითარი კავშირი არა აქვს ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებასთან, მისი სამოქმედო ასპარეზი მეტად შეზღუდულია, მაგრამ ავტორმა ამ სახეში დიდი ცხოვრებისეული სიმართლე და შინაგანი იუმორი ჩააქსოვა. თავისი გმირის სწორედ ამ თვისებებს გაუსვა ხაზი ეკ. ვერულაშვილმა. იგი გროტესკის პლანში, გარეგნულად ოდნავ გამომწვევად, თუმცა დიდი შინაგანი ტაქტით, წარმოგვიდგენდა სოფლის ტიპიურ შინაბერას, რომლის ერთადერთ მიზანს გათხოვება წარმოადგენს. ვერულაშვილის ანეტა არაფერს არ იშურებდა იმისთვის, რათა ეს აუხდენელი ოცნება სინამდვილედ ექცია.

იმავე გროტესკის პლანში, მაგრამ სავსებით განსხვავებული აქტიორული ხერხებით წარმოგვიდგინა ეკ. ვერულაშვილმა ანიკო (ო. ჩხეიძის „ვისია ვისი?!", დადგმა ი. კაკულიასი). იგი არსად არ ცდილობდა თავისი გმირის გრძნობების გამკვეთრებას, „გაუხეშებას", პირიქით, იმდენად რბილად და სათუთად მოქმედებდა, თითქოს თოკავსო ანიკოს გამძაფრებულ სულიერ განცდებს. შესრულების სწორედ ამგვარი მანერა ხდიდა ანიკოს სახეს საოცრად მიმზიდველსა და შთამბეჭდავს. ე. ვერულაშვილმა მოხდენილად შეუგუა ლირიზმი გროტესკს, რითაც განუმეორებელი თავისებურება შესძინა თავის გმირს.

ანიკოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსახიობის შემოქმედებაში. ვფიქრობთ, რომ იგი ყველაზე სრულყოფილი სახეა იმ სახეთა შორის, რომლებიც მას დღემდე შეუქმნია მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

აქტიორულ შესაძლებლობათა ახალი თვისებები გამოავლინა ეკ. ვერულაშვილმა დანიელას (გ. მდივნის „კონსული მოიპარეს", დადგმა გ. ანთაძის) და ქ-ნ პლეშის (ალფრედ დე მიუსეს „სიყვარული სახუმარო არ არის", დადგმა მ. კუჭუხიძისა) როლების განსახიერებისას. მსახიობი ამ შემთხვევაშიც ძირითადად თავისი მანერის ერთგული დარჩა. იგი მკვეთრი მონასმებით, გარეგნული ექსცენტრიზმითა და მისთვის ჩვეული ზომიერი განწყობილებით წარმოგვიდგენდა ამ ორ ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებულ მკვეთრად სახასიათო პერსონაჟს.

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დღესაც დიდი წარმატებით გადის ვასო გოძიაშვილის რეჟისორობით დადგმული „ძველი ვოდევილები". ამ წარმატებაში თავისი წვლილი ეკატერინე ვერულაშვილის ჩინებულად განსახიერებულ მაიკოსაც შეაქვს (ა. წერეთლის „მუტიაობა"). გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე მოთავსებულ რეცენზიაში დიმიტრი ჯანელიძემ ეკ. ვერულაშვილის მაიკო სპექტაკლის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ მონაპოვრად მიიჩნია. ამ როლში თავი იჩინა მსახიობის მუსიკალობამ, რიტმის შესანიშნავმა გრძნობამ და სახის გარეგნული დახასიათების ნატიფმა ოსტატობამ.



კატო ფილმიდან — „ქორწილი".

კინო ეკ. ვერულაშვილის მოღვაწეობის არანაკლებ საინტერესო და ნაყოფიერი შემოქმედებითი მხარეა. მას ბევრ ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული; თუმცა მთავარი როლი არსად არ ჰქონია, თითქმის ყველგან ეპიზოდური როლების განსახიერება ეკისრებოდა, მაგრამ მსახიობის ხალასმა ნიჭმა აქაც იჩინა თავი. განა ეპიზოდური სახე არ არის დედა მ. კობახიძის ფილმიდან „ქორწილი", სადაც ე. ვერულაშვილის უზადო შესრულებამ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის კინომაყურებელთა ერთსულოვანი აღიარება დაიმსახურა? სწორედ „ქორწილი" გახდა ქართველი მსახიობის კინოსტუდია „მოსფილმში" მიწვევის საბაბი, სადაც რეჟისორმა ბორის რიცარევმა ფილმ „ალადინის ჯადოსნურ ლამპარში" ალადინის დედის როლი შესთავაზა. ე. ვერულაშვილმა გაამართლა ბ. რიცარევის არჩევანი.

თითქმის უსიტყვო როლი აქვს ე. ვერულაშვილს რეჟისორ ნ. მჭედლიძის მინიატურულ ნოველაში — „გზაში", მაგრამ როგორი ზუსტი ცხოვრებისეული ინტონაციებით გაამდიდრა მოტირალი ქალის ეს უმნიშვნელო სახე! ასევე მკვეთრი დამახასიათებლობით წარმოგვიდგინა ე. ვერულაშვილმა თხის პატრონის მეტად უმნიშვნელო როლი ს. დოლიძის ფილმში „შეხვედრა წარსულთან". ნათელი იუმორით შემკო და დიდხანს დაგვამახსოვრა მარასა (შ. მანაგაძის „ვინ შეკაზმავს ცხენს") და მრავალი სხვა სახე, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ახლახან რეჟისორმა გენადი გაბაიმ ე. ვერულაშვილი მიიწვია თავის ფილმში „ბედნიერ მონაპოვართა დღე", სადაც მსახიობი ქათმების მეპატრონის სახასიათო ეპიზოდურ როლს შეასრულებს. თეატრში ლამაზისეულის როლი მიიღო („კაცია ადამიანი?!", რომელსაც ვასო გოძიაშვილი აღადგენს). წინ ბევრი ახალი როლია, ყოველი მათგანი მკვეთრად განსხვავებული საღებავებით შეიმოსება, ვინაიდან ეკატერინე ვერულაშვილი ვერ იგუებს ერთფეროვნებას ხელოვნებაში. სწორედ ამიტომ უყვარს იგი მაყურებელს, ამიტომ მიაცილებს ქუჩაში მიმავალს ასობით კეთილი მზერა...

ვაჟა ძიძუა

ალადინის დედა „ალადინის ჯადოსნური ლამპარი".



დიდედა — „დიდედები და შვილიშვილები".



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსეი ტოლსტოი

# მარია ანტუანეტას გობელენი

მოთხრობა

მხატვარი ლ. შენგელია

მწკრივად ჩაიარეს სასახლე-მუზეუმის უკანასკნელმა დამთვალიერებლებმა — ჩუიკებმა, დაბამბულმა და ბეწვის ქურთუკებმა. ჟოლოსფერი მზე ნისლს მიღმა ზამთრის წყვდიადში იძირება. მოკლეა ჩრდილოეთის დღე. მე კიდევ ვარჩევ ნაყშებს მინებზე. მაღალი ფანჯრები ყინულის ფოთლებითაა დაფარული, ვით მოგონება დედამიწაზე ოდესღაც მოშრიალე ტყეებისა.

ნაყშები მოცისფრო-მონაცრისფრო ბინდ-ბუნდში ჰქრება. სადღაც შორს კარი მიჯახუნდა, ბილიკზე დარაჯის თექურამ გაიჭრაჭუნა. და ჩამოდგა სიჩუმე სასახლესა და დათოვლილ პარკში.

ხანდახან უფარდო ფანჯრებში, მთვარე საშიშ სიმაღლიდან მიმქრალ შუქს აგზავნის. გაუთავებლად მიცურავს უიმედო ბურუსი პარკს ზემოთ. ქარბუქი შიშველ ტოტებს აწრიალებს. სიცივე და სიცარიელეა. გარდასულ წლებს ვაღდგენ მეხსიერებაში და იმითი ვირთობ თავს. წლები მრავლად იყო, რომელთაგან ზოგი ზეიმის სხივითაა განათებული, ზოგი კი საშინელია.

იმ ქალებივით როდი ვბერდები და ვჭკნები, ახლა რომ ჩემს მოგონებებში გაიელვეს, როდი ვბერდები თუნდაც ხალხის იმ ორი ბრძანებელივით, ვისაც მე ვეკუთვნოდი. მე ისევე მშვენიერი ვარ, როგორც ამ ასნახევარი წლის წინათ: მახურავს მაღალი, შეპუდრული პარიკი და მაცვია სისხლისფერი მდიდრული კაბა. დიდ სასტუმრო ოთახში ვიმყოფები, შემოსასვლელის მარცხნივ, სარკმელთან. სიღრმეში, სინათლის მოპირდაპირე მხარეს, ბუხრის თავზე ჩემი ქალბატონის სურათი ჰკიდია. იგი მთელი ტანითაა გამოსახული — ახალგაზრდა, ზვიადი, ჯარისკაცივით გაჭიმული. ასეთი გახლდათ ის ქორწინების პირველ წლებში. ხშირად, როცა მთვარის შუქი მოოქვრილ სავარძლებზე აციმციმდება, ვცდილობ სახეზე დავაკვირდე. დედოფალი კი გაჯავრებით გვერდზე იყურება, მე ვგონივარ ყველა მისი უბედურების მიზეზი, შუასაუკუნეების ქალივით ბნელი და ცრუმორწმუნეა.

ყოველშემთხვევაში, პრეზიდენტი ლუბე უტაქტოდ მოიქცა, როცა რუსეთის დედოფალს დასჯილი ფრანგი დედოფლის გობელენი მიართვა საჩუქრად, რომელიც ჯავშნოსნით ჩამოიტანეს. დედოფალი ხელოვნებაში ცუდად ერკვეოდა და იკითხა: „რა არის ეს?" (იგი ჩემს წინ იდგა. გუვერნიორი ქალივით გამოეჭიმა მკერდი და სუფთად დაბანილი, ერთმანეთზე გადაჭდობილი ცივი თითები მუცელზე შემოეწყო). ჩასუქებულმა ლუბემ ფრაკის გახამებული პერანგი ააშრიალა და ცქვიტად მიუგო: „ეს იშვიათი გობელენი გახლავთ, თქვენო უმაღლესობავ, რომელზეც მარია ანტუანეტას პორტრეტია გამოსახული. შემთხვევით დაინდო იგი რევოლუციამ. საფრანგეთს თქვენს ფერხთით მოაქვს თავისი ერთ-ერთი საგანძურთაგანი".

მაშინ ჭკნობაშეპარულ სახეზე დედოფალს ლაქები დააყარა, შიშის დასაფარავად მტკიცედ მოკუმა ძაფივით წვრილი ტუჩები და მე წავიკითხე უგონო შიში, მის მრგვალ ცისფერ, გერმანულ თვალებში რომ წუთით გაიელვა.

„რატომ აცვია წითელი კაბა?" იკითხა დედოფალმა. ამაზე პრეზიდენტმა ვერაფერი უპასუხა, ისევ შემოჰკრა ფეხი ფეხს და ბურჟუის ჩექმები ააჭრიალა.

ფანჯრის გვერდით დამკიდეს კედელზე. არ მახსოვს შეეჩერებინოს დედოფალს ჩემზე მზერა. წითელი კაბა აღიზიანებდა. მისი გემოვნების მკრთალი, სოსნისფერი, ჭაობისფერი ტონები იყო. ვერც მარია ანტუანეტა იტანდა ვერაფერს ჩახჩახას — მხოლოდ ნაზი, მშვიდი ფერები მოსწონდა.

მართლაც და არაჩვეულებრივია ამ წითელი ფერის ისტორია. აი ისიც:

ასნახევარი წლის წინათ პარიზში ცხოვრობდა უჩვეულო სიტურფის ქალიშვილი ელიზავეტა როხი. მამამისი მეფის შპალერის ფაბრიკაში მუშაობდა მქსოველად და საუკეთესო ოსტატად ითვლებოდა საფრანგეთში. დღე-ღამეში მეოთხედ აა ქსოვდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნახატის ხაზებსა და ფერებს ისე არჩევდა, რომ მისი გობელენები ბუნების ცოცხალ საღებავებს უწევდნენ მეტოქეობას და ჯაბნიდნენ კიდეც.

ელიზავეტა როხს, რომელიც რვა წლისა იყო, როცა ფაბრიკაში მუშაობა დაიწყო, ასევე სრულყოფილი გემოვნება ჰქონდა. ცხრამეტისა რომ შეიქნა, მაკეტების განყოფილებაში გადაიყვანეს. აბრეშუმისა და შალის ნაჭრებით სურათიდან მაკეტი უნდა შეექმნა, რომლის მიხედვითაც შემდეგ გობელენი იქსოვებოდა.

ელიზავეტას ცეცხლოვანი ბუნება ჰქონდა, მაგრამ ქალწულებრივი მშვენიერების გარდა არავითარი იმედი არ გააჩნდა უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად. 14 საათის განმავლობაში ნაჭერი და ნემსი ხელში, მომქანცველი შრომა ყოველგვარ ახალგაზრდულ სურვილს უხშობდა. თუმცა ზნე-ჩვეულებას ასეთივე სიმკაცრე იგრძნობოდა მთელი საფრანგეთის უკიდურესობამდე გაღატაკებული მშრომელი ხალხის ცხოვრებაშიც. და ეს იმიტომ, რომ ვერსალში მეფესა და დედოფალს, პრინცებსა და მთელი სასახლის კარს გაუთავებელ ზეიმში ეტარებინათ დრო. ბალეტები, ფეიერვერკები, მეჯლისები, ნადირობანი გადათელილ პურის ყანებში, ღამ-ღამობით ასობით სანთლის შუქზე ბანქოს მაგიდებთან ფანტასტური შებმა. ყოველივე ამით ისინი მოახლოვებული, გარდუვალი დაღუპვის შიშს იხშობდნენ. ხაზინა ცარიელი იყო, ქვეყანა გაღატაკებული, კოტრდებოდა აზნაურობა, მოოქვრილ, მოგრიალე ეტლების შემხედვარე პარიზელი ხალხი ღმუოდა. ბურჟუები ალტაცებით ავრცელებდნენ უხეშ პამფლეტებს დედოფლისა და სასახლის კარის უზნეო ცხოვრებაზე. მარტო მეწარმენი, მევახშეები და ფაბრიკანტები მდიდრდებოდნენ.

შპალერის ფაბრიკაში მეფის კაბინეტის კანცელარიიდან სასწრაფო დაკვეთა მიიღეს — ამოექსოვათ დედოფლის სურათი. დაკვეთას თან ახლდა პორტრეტი — ორიგინალი, რომელიც დიდი ბუშეს კალამს ეკუთვნოდა. დედოფალი კი ამ დროს ვერსალში, სათამაშო სოფლური ფერმის საქმეებში იყო ყელამდე ჩაფლული: თვითონ წველიდა რქებმოვარაყებულ, სუნამოშეფრქვეულ ძროხებს, აკეთებდა ომლეტს ქამასოკოთი, ანკესით ჩინურ თევზებს იჭერდა სადილისათვის. შესვენების დროს მდინარის პირას სეფექალებთან ერთად მწყემსურად ცეკვავდა. ამდენ საზრუნავში ბუშემ მხოლოდ გაკვრით მოახერხა დედოფლის ჩახატვა და ისიც მხოლოდ სახისა. კაბა თვითონ დახატა, ნაღებისფერი, იმდროინდელი გემოვნებით. მაგრამ ნახატით მთლად კმაყოფილი არ იყო.

სურათი ელიზავეტასთან მოხვდა და მანაც დაიწყო გობელენისათვის პირის გადაღება. ცხელი დღეები იდგა. მუშაობის დროს ხან იატაკზე ხოხვა უხდებოდა, ხან კიბეზე არბენა, რომ მაღლიდან გადმოეხედა ნახატისათვის, ელიზავეტას მსუბუქი, მკერდმოხსნილ კაბა ეცვა, საიდანაც ნატიფი ფეხები მუხლებამდე მოუჩანდა.

ასეთი იხილა იგი ფაბრიკის დირექტორმა, გაკოტრებულმა აზნაურმა, ჩათქვირულმა და ფეთხუმმა მამაკაცმა, რომელიც თავისი წლოვანების მიუხედავად, გადაჭარბებულ მგრძნობელობას იჩენდა ქალის სიტურფისადმი. დირექტორმა წინდებჩამოჩაჩული ფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხები გაჩაჩხა და თვალები გადმოკარკლა. პარიკის ქვემოდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა გაპარსულ ლოყებზე. იმ პაპანაქება სიცხეში, როცა ბუზებს სახელოსნოს მტვრიან ფანჯრებზე ზუზუნი გაჰქონდათ, დირექტორმა შენიშნა, რომ გოგონა მწიფე ვაშლივით გემრიელი იყო. მოლბერტთან ჩამოჯდა, სათუთუნე ამოიღო. თამბაქო მაქმანზე ებნეოდა, პადაგრული თვალები საცაა გადმოუცვივდებოდა. ელიზავეტა საქმეზე ფიქრობდა და მის ფერხთით მუხლებზე დახოხავდა. ხან მაკრატლის ასაღებად გასწევდა ხელს, ხან დაიხრებოდა და ძაფს მოკვნეტავდა. დირექტორი თითქმის გურმანულ სიტკბოებას განიცდიდა. გოგონას სილამაზე გაგანიერებულ ნესტოებში ულიტინებდა. როცა ელიზავეტა სახეზე ჩამოშლილი ფუმფულა თმის დასამაგრებლად გაჯავრებული წამოდგა და შიშველი მკლავები ასწია, დირექტორმა იგრძნო „კონჟექსიონის“, ესე იგი, წნევის დარტყმის მსგავსი რაღაც, რომელიც სისხლძარღვებს დახეთქვას უქადის, და რომ, რაც შეიძლება, მალე განთავისუფლებულიყო ამ მღელვარებისაგან, პირდაპირ ელიზავეტას დაეცა, ხელები შემოხვია და სახეზე, ყელზე, მკერდზე ლოშნა დაუწყო.

ელიზავეტამ, რომელსაც პირველად შეეხო მამაკაცის ხელი, ხმამაღლა დაიკივლა, ზეზე წამოვარდა, შეებრძოლა, მარჯვენა ხელი გაინთავისუფლა და დირექტორს სილა გააწნა. შემდეგ ყოველივე სიჩუმეში ხდებოდა, თუ არ ჩავთვლით დირექტორის მძიმე მუშტს და ქალიშვილის სუსტ კვნესას.

როცა კარი მიჯახუნდა და დირექტორის ფრატუნა ნაბიჯები მიწყდა, სახელოსნოში ქალები შემოვიდნენ და მაკეტზე მწოლარე, კაბაშემოგლეჯილი ელიზავეტა იხილეს. დედოფლის ნალებისფერი კაბა მთლად სისხლით იყო დასვრილი. ქალიშვილს სახე ჰქონდა გახეთქილი. გაიყვანეს. იმავე დღეს კანტორამ ქალიშვილი ფაბრიკიდან გააგდო.

მომხდარი ამბავი, თითქოს, არც კი იმსახურებდა ყურადღებას, მაგრამ, როცა ბუშემ დათხუპნული მაკეტი ნახა, გაცოფდა: პუდრშეფრქვეული ცხვირისწვერი გაუწითლდა და ფაბრიკის გამგებლები სულ ლანძღვა-გინებით აიკლო. მერე ერთხელ კიდევ დახედა, თვალები მოჭუტა და თითები გაატკაცუნა. მოგაგონებთ, ბუშე თავისი ნახატით კმაყოფილი არ იყო. და აი, აზრად მოუვიდა, სისხლის ლაქების ეს ფერი გამოეყენებინა. შემადარი წითელი ტონი მიუსადაგა და ბრძანა კაბა მაკეტზე ამით შეეცვალათ. „მშვენიერია“ სთქვა ბოლოს და მაკეტი როხის სახელოსნოში გაგზავნა.

ასე გავჩნდი მე ქვეყნად. დღე და ღამე მქსოვდა მოხუცი როხი. მწარე ცრემლები ნაოჭებზე ღვარად ჩამოსდიოდა. ელიზავეტას შემდგომში რა დაემართა, დანამდვილებით არ ვიცი. როხმა ჩემი ქსოვა თავიდან დაიწყო და მთელი თვეების მანძილზე დაზგაში გადმობრუნებული ვიყავი. აჩქარებდნენ, ისიც ჩუმი გამძაფრებით მუშაობდა.

ბოლოს მზად გახლდით. ბუშეს წილად ხვდა ბედნიერება, თავად მიერთმია დედოფლისათვის ჩემი თავი. სასახლის კარზე იცოდნენ ჩემი ისტორია. ბუშემ წითელი ფერის გასამართლებლად განაცხადა, ქალწულობის ფერიაო. ეს იყო დროის შესაფერი კალამბური. დედოფალმა ჰაეროვნად გაუღიმა.

გობელენი დედოფლის საძინებელში დაკიდეს ტრიანონში. ტრიანონი სამეფო ოჯახის სატრფიალო გასართობთათვის განკუთვნილი პატარა სასახლე იყო. უეჭველად გახლდათ სიმართლის ნაწილი იმაში, რასაც პამფლეტებში სწერდნენ. დედოფალი თავქარიანი იყო, მისი სილამაზე — ჭკნობაშეპარული. მეფე იშვიათად მოინახულებდა ხოლმე დედოფალს საძინებელში: ჩინურ ხალათსა და საშინაო ფეხსაცმელებში გამოწყობილი, ჩასუქებული, ფომფლო ღაბაბიანი, სიყვარულის მაგივრად ნადირობისას მარჯვედ ნასროლ ტყვიაზე ან თავის სახარატო საქმიანობაზე ემუსაიფებოდა. მისი უნაყოფო მონახულების შემდეგ, დედოფალი ბრძანებდა მოერთმიათ ვენეციური სარკე, და მწოლიარე, მთლად მაქმანებში გახვეული, ჯერ კიდევ მომხიბლავი, სანთლის შუქზე ოდნავი გაოცებით ათვალიერებდა თავის გამოსახულებას. მერე ქვედა ტუჩი — ჰამსბურგელთა სახლეულის უცილობელი კუთვნილება — აებურცებოდა და, მაშინ კი მის განიერ საწოლზე შემოხვეული სეფექალები რაიმე ღამის თავშესაქცევს გამოიგონებდნენ, რის შედეგადაც დედოფალი ღრმად იძინებდა...

დილა ვერსალში ყოველთვის ზეიმით იწყებოდა. რახრახებდნენ მოახლოვებული ეტლების მოჩუქურთმებული თვლები. ისმოდა მხიარული ხმები. განიერ ქვედაწელებში გამოწყობილი, ცოცხალი ყვავილების სადარი სეფექალები ამბრისა და მუშკის სურნელს აფრქვევდნენ, დედოფლის საძინებელში ჟღურტულებდნენ ან თვალმიმტაცად დაჰქროდნენ პარკის ხეებშუა. ჩუხჩუხებდნენ, ხმაურობდნენ შადრევნები, ფრთებს ადგაფუნებდნენ გედები, ირწეოდნენ მოოქვრილი ნავები ხელოვნურ ტბაზე. აქ — ნანგრევები ბერძნულ სტილში, იქ — მარმარილოს ტორსები მოციმციმე მზის სხივებით. ყოველივე ამას ფუჭი წარმოსახვა არკადულ ქვეყნებში გადაჰყავდა. ქალივით კოპწია კავალრები თავიანთი ბუნებრივი მძაფრი სუნის დაფარვას სუნამოს სურნელით ცდილობდნენ. ისინი იდეალურ სამყაროდან მოსულ არსებებს უფრო წაავავდნენ, ვიდრე ათასჯერ დაგირავებული ციხეების პატრონ აზნაურებს, მეფის წყალობის მისაღებად გაწვდილი ხელით.

ბუნება გულუხვობას იჩენდა ამ გამოგონილი ცხოვრებისადმი. მდელოებზე გახურებული თივის სურნელი ტრიალებდა, ირეოდნენ ჭრელი პეპლები. ტბაზე ზაფხულის ღრუბლები ირეკლებოდნენ. ნიავიც კი თანაგრძნობით აშრიალებდა ხეებს. დღეები დღეებს მიჰყვებოდნენ, უშინაარსონი და თავბრუდამხვევნი. დედოფალი ცუდ აზრებს ახლოს არ იკარებდა. მეფე კუს სათუთუნეებს ჩარხავდა და ფიქრობდა, რომ ბოლოს ყველაფერი მოგვარდებოდა. პამფლეტების ავტორებს ბასტილიაში ჩასვამდნენ, ხაზინა საიდანმე იშოვნიდა ფულს, კეთილი ბურჟუები თავის მეფეს ისევ შეიყვარებდნენ, გლეხები გადასახადების გამო აღარ განაწყენდებოდნენ, მერე ღმერთი წყალობის თვალით გადმოხედავდა და მოგებული ომი გაფლანგულ სიმდიდრეს დაუბრუნებდა...

ცნობილია, როგორ დამთავრდა ეს უზრუნველი მხიარულება ვერსალში. გამძვინვარებული ტურფა კურტიზანი ტერიენ დე მერკური ცხენზე ამხედრებული, წითელ კაბასა და წითელფრთიან წითელ ქუდში გამოწყობილი ჩამოვიდა ვერსალის გზით. იგი მრუდეპირიან ხმალს იქნევდა და პარიზის გარეუბნებიდან ჩამოყოლილ ოცდაათი ათას ქალთან ერთად გაჰყვიროდა: „პური, პური!“

მეფე მათ აივნიდან უღიმოდა, დედოფალს მემკვიდრე ეჭირა ხელში და ცდილობდა გაეცინა. ისინი ეტლში ჩასვეს და პარიზში წაიყვანეს. სასაცილოდ აღარავის ეცალა.

ახლა მხოლოდ წვიმა ხმაურობდა ტრიანონის მაღალ ფანჯრებზე, პარკი შემოიძარცვა, დაგროვილი ფოთლები, რომელთა ამღები აღარავინ იყო, ბილიკებზე ლპებოდა. გაშიშვლებულ ხეებშუა ურცხვად იჭყიტებოდნენ ანტიური ღვთაებები. ზამთრის ბურუსი ჩამოწვა. მხოლოდ დარაჯის ფეხის ხმა თუ დაარღვევდა მიტოვებული სახლის მყუდროებას. საძინებელი ოთახის ჭერზე სველი ლაქა დიდდებოდა, პარკეტზე წვიმა წვეთავდა.

გაზაფხულის პირველ დღეებს მოსეირნენი მოჰყვნენ. ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მეფის პარკის უცნაურ სანახაობებს. უპარიკო, შეუხედავი მამაკაცები უშნო, მუქ ტანსაცმელში იყვნენ, ქალებს კი უბრალო შალის ქვედატანები ეცვათ და სადა თავსაფრები ეხურათ. მოჰქონდათ სანოვაგით სავსე კალათები, ხელჩაჭიდობილი მოჰყავდათ ბავშვები და პირდაპირ ბალახზე სხდებოდნენ და საუზმობდნენ. მერე პამფლეტების გაქონილ ნაგლეჯებს ტოვებდნენ, რომლებშიც საჭმელი ჰქონდათ გახვეული. კეთილგონიერი ბურჟუა ქალები მორცხვად არიდებდნენ თვალს შიშველ ქანდაკებებს და ხმამაღლა ვიშვიშებდნენ, როცა დედოფლის მდიდრულ საწოლს ათვალიერებდნენ. აქეთ-იქიდან ხელისგულებს იჩრდილებდნენ და მინაზე ცხვირმოჭყლეტილნი, შემომყურებდნენ სახეში. ხანდახან ქოლგასაც მიღერებდნენ...

გავიდა ზაფხული. ზამთრის ქარტეხილმა რამდენიმე მინა ჩაამტვრია. აპრილში ისევ დაიწყეს შავმა შაშვებმა ბუჩქებში ხტუნვა. ბილიკები ოროვანდით იბარდებოდა. დადუმებულ შადრევნების აუზებს ლემნა ეკიდებოდა. ნებაზე მიშვებული ძროხები ქანდაკებების ძირას კვერებს ალაგებდნენ. დღესასწაულებზე მეტი ხალხი მოაწყდებოდა ხოლმე, გაბღენძილი ბურჟუების ნაცვლად, ახლა ვიღაც უცნობი ახალგაზრდები მოდიოდნენ, გრძელი შარვლებით, გაღეღილი მკერდითა და დაკაპიწებული მკლავებით. იმათი ლოყებლაჟღაჟა, ხითხითა მეგობარი ქალები, რომელთაც ძლივს იფარავდა ჩითის კაბები, ბავშვებივით მხიარულობდნენ. დაღლილები თივის ბულულებზე იძინებდნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ, კისკისებდნენ, ჩხუბობდნენ და ისევ რიგდებოდნენ, კივილით ხტებოდნენ ქვიანი ნაპირებიდან ტბაში, ავარდნილი წყლის შხეფები ცისარტყელას ფერებით ელავდა და მათი მზით გარუჯული სხეულები მარმარილოს ცხვირჩამომტვრეულ ღმერთებისაზე ნაკლები როდი იყო. შებინდებისას უქმად მიყრილ, მოოქვრილ ნავების ნამსხვრევებიდან დიდებულ კოცონს აჩაღებდნენ და მის შუქზე პირველყოფილ არსებებივით ცეკვავდნენ გიჟურ კარმანიოლას.

გავიდა ეს ზაფხულიც. სულ უფრო დაფიქრებული, მკაცრი სახეები გაუხდათ ადამიანებს. მათ მუქ თვალებში მე ვკითხულობდი შიმშილით გამოწვეულ ტანჯვას, სასტიკ გადაწყვეტილებას. პარკში ორივე ძროხა გაჰქრა, ალბათ დარაჯებმა შეჭამეს. გაჰქრა თითონ დარაჯიც. ერთხელ ჩემს ფანჯარასთან ორნი გაჩერდნენ, ფეხშიშვლები იყვნენ, ვაჟს სიყვარულით შემოეხვია ქალისთვის ხელი მხრებზე, რომელსაც ძლივს უფარავდა ძონძები. ქალი მშვენიერი იყო — ბულულათმიანი, წერწეტა, ღონიერი. ვაჟს რაღაცა უთხრა. ჭაბუკმა სახელური მოქაჩა, კარ-ფანჯრის დამპალმა ჩარჩომ დაიჭრიალა და მინები ჩამოცვივდა. შემოვიდნენ. ვიცანი, ის ჩამოგლეჯილი მზეთუნახავი ელიზავეტა როხი იყო. ქალი დიდხანს შემომყურებდა, მერე თითის წვერებზე აიწია და სახეში მომაფურთხა. ჭაბუკმა კი კედლიდან მომგლიჯა და გაძარცვულ საწოლზე მისროლა.

ასე გატიალებული ვეგდე, სანამ ერთმა დარბაისელმა პარიზელმა მეძეხვემ არ მიპატრონა, როგორც ბატონის ნივთს. იგი ვერსალში იმის იმედით ჩამოვიდა, რომ ფეხმოტეხილ ჯაგლაგს მაინც გამორჩენოდა, კოხტად შემახვია და კოლოფში ჩამდო. თი-

ეროვნული

თონაც ზედ დააჯდა. უკან ჭილოფგადაფარებული ცხენი იდო. ასეთი სახით გეახელით პარიზს. ძეხვის დუქნის ტყვიებით ჩალეწილ ფანჯარაზე ჩამომაფარეს. და იქ, რევოლუციის მოედანზე კიდევ ერთხელ, უკანასკნელად ვიხილე დედოფალი, ვიხილე, მაგრამ რა საცოდავ ყოფაში!..

ასნახევარი წელი გავიდა იმ დღიდან. დამღლელი იქნებოდა ლაპარაკი ბედის უკულმართობაზე, რომელიც ხელიდან ხელში მისვრიდა. როცა ერთ ქარიან უკუნი ღამით რატუშის თავზე კომუნის შავი დროშა აფრიალდა, ჩემი მეძეხვე დუქნის კარზე ჩამოახრჩვეს და გულზე დაფა მიაკრეს: „მოვითხოვთ მტკიცე ფასებს!“ ვიღაცის დენთით შებოლილმა ხელმა ფანჯრიდან მომგლიჯა და მე ბრგე ვაჟკაცის მხრებზე ლაბადად ვიქეცი. კაცი შუბს იქნევდა. შუბის მახვილზეც წითელი ნაჭერი შემოეხვია. მთელი დღე ტყვიების ზუზუნში მოგიზგიზე ალის ენებივით ვირხეოდი მის მხრებზე. როცა დაღამდა, რატუშისაკენ წავედი. რატუშა ქვევიდან ჩირაღდნებით გაენათებინათ, მისი კოშკის წვეროები კი მაინც წყვდიადში იყო ჩაფლული. ბრბოსთან ერთად, რომელიც ხმლებსა და პისტოლეტებს იქნევდა, ლიფლიფოების კვამლით სავსე უზარმაზარ დარბაზში შევცვივდით. ფიცრებსა და ყუთებზე პარიზის კომუნის გამუდმებით მოთათბირე წევრები ისხდნენ ჩაბნელებული სახეებით. მუშები და ხელოსნები მათ ბურჟუებისა და არისტოკრატების თავს თხოვდნენ და ღმუოდნენ: „გაჰყარეთ კონვენტი, სიკვდილი გამცემლებს! მთელი ხელისუფლება კომუნას! მოვითხოვთ პურსა და საბოლოო ფასებს!“ ჩემმა პატრონმა ტანზე შემომიხვია და იქვე, დარბაზში ფანჯრის ქვეშ მოიკალათა დასაძინებლად.

მაგრამ, ეტყობა, ამ ქვეყნად მხოლოდ თვალის დასატკბობად ვარ გაჩენილი. ცუდად გავათბე იმ ქარიან ღამეს პატრონი, კუთხეში ნაგვის გროვაზე მომისროლა. ერთხანს იქ ვეგდე, ვიღაც მიხვდა, გამშალა, დამფერთხა და პრეზიდიუმის მაგიდაზე გადამაფარა. მას შემდეგ ზედ მეყარა ქაღალდები, ბატის ფრთები, გამხმარი პურის ნატეხები. სახეწოწოლა კაცი, ფერმკრთალ შუბლზე შავი კულულები რომ მიჰკროდა, სიბრაზის ცოფებსა ჰყრიდა და გამოგლეჯილი იდაყვებით მე მეყრდნობოდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, გებერი ერქვა. იგი განსახიერება იყო იმ ნახევრადშეშლილი ადამიანებისა, რატუშაში რომ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ყოველ საღამოს, რათა ეყვირათ სამართლიანობის, თავიანთი მოთხოვნების, თავიანთი სიძულვილის, უკანასკნელი თავისუფლების შესახებ.

მას, ისე, როგორც ყველა „შმაგს“ თავი მოჰკვეთეს. იმ დღეს სექციის სახეჩაქუფრულ წევრთა წინაშე სუფთად ჩაცმული თეთრპარიკიანი კაცი გამოვიდა. მხრებში კეფაჩარგული, ზომიერებაზე, პატიოსნებაზე ლაპარაკობდა. იფიცებოდა, თავს წავაგდებინებ, ვინც მდაბალ ცხოვრებას ეწევა, ვინც კონტრრევოლუციაზე გულში რამეს გაივლებს, ვისაც ეჩვენება, რომ ის — რობესპიერი კარგი რევოლუციონერი და პატრიოტი არ არისო. იაკობინელთა ქუდებში გამოწყობილი მედუქნეები რობესპიერს თავს უკრავდნენ. მაგრამ ბურჟუები კი, ვაი რომ დაიქანცნენ, აღარაფრად ეპიტნავებოდათ რევოლუციები, გამძვინვარებული შავი ბრბო, ძონძები და ქაღალდის ფული.

და აი ერთხელ მაგიდას, რომელზედაც ჯერ კიდევ ვეფარე, ნაჩქარევად ხუთნი შემოუსხდნენ წელზე სამფერი შარფებით. მათ შორის რობესპიერიც იყო. მან ჩახმახზე შეყენებული პისტოლეტი დაიდო წინ. სდუმდნენ, თვალდაუხამხამებლად შესცქეროდნენ ჩაბნელებულ ფანჯრებს, — იქ ღამეულ მოედანზე ბრბო გუგუნებდა. ერთადერთი სანთლის მოცახცახე ალი ვერ ფანტავდა უზარმაზარი ცარიელი დარბაზის სიბნელეს.

იმ ღამეს დამთავრდა რევოლუცია. ნელინელ შეწყდა ბრბოს ღმუილი გრევის მოედანზე. რახრახებდნენ ზარბაზნის ბორბლები, დაილრჭიალა სამხედრო ბრძანებამ. რატუშის კიბეებზე ეროვნულ გვარდიელთა ულმობელი ნაბიჯები გაისმა. შემოვიდნენ. მაგიდასთან მჯდომ ხუთ ტერორისტს მუქარით თვალის გუგები გაუგანივრდათ. მაგრამ უფრო საშინლად დაიყვირეს გვარდიელებმა. ჭაბუკი, ქალურად ნაზი სენ-ჟიუსტი მშვიდად წამოდგა, რათა თითონვე დანებებოდა. დამბლადაცემულმა კუტონმა სახეზე აიფარა ხელები. ფიცხმა ლებამ პისტოლეტი აიტაცა და რობესპიერს ჩაუდო ხელში — პატარა კაცმა ზანტად მიიდო პისტოლეტი საფეთქელზე. გვარდიელი ეცა, იდაყვში გაჰკრა. გაისმა სროლა, რობესპიერის თავი, გახეთქილი ქვედაყბით გულზე დაეცა, თითებმა დაუწერელი ქაღალდები მოჭმუჭნეს. იგი სისხლის შეჩერებას ლამობდა, მაგრამ მხოლოდ სახე მოითხუპნა.

ჩემი შემდგომი მოგონებანი ეკუთვნის იმ ულიმღამო წლებს, როცა მეწვრილმანის დუქნის მტვრიან ხარახურაში ვეგდე... ვიდრე ნაპოლეონი მემამულეთა არმიებს მთელ ევროპაში ხიშტებით მიერეკებოდა, ჩემში ფრანკსაც არავინ იძლეოდა. მაგრამ ძალზე ბევრი სისხლი ადინა ნაპოლეონმა ბურჟუებს, და მათაც უღალატეს, გამოიანგარიშეს, რომ ხმლის გაცვლა საბუღალტრო წიგნზე უფრო სარფიანი იყო.

რევოლუციამ გაშმაგებული წრე შემოხაზა და წუთით შეიკრა, საფრანგეთის ტახტზე ლუდოვიკო მეთვრამეტე ავიდა. მე, როგორც წმინდა რელიკვია, წესრიგში მომიყვანეს და ტიულერის სასახლეში დამკიდეს. ოჰ, რა განახლებული აღტყინებით ცეკვავდნენ მოვარაყებულ დარბაზებში ოცი წლის განმავლობაში ემიგრაციაში დამჭკნარი ჩვენი ვერსალელი მანდილოსნები! ფერუმარილიან ნაოჭებიდან ნაფლეთებად სცვივოდათ პუდრი. მელანქოლიური სანახაობა გახლდათ.

შემდგომი რევოლუციები და რესტავრაციები ლუვრის მუზეუმში გავატარე წყნარად. ასეთი იყო ჩემი ცხოვრების ისტორია, ვიდრე ცარსკოე სელოში, ალექსანდრეს სასახლეში დამკიდებდნენ მილიონთა მბრძანებლის — დედოფალ ალექსანდრა თეოდორეს ასულის სასტუმრო დარბაზში.

ამდენი ნაირ-ნაირი შთაბეჭდილებების შემდეგ, აქ საშინელი მოწყენილობა სუფევდა. მეფესა და დედოფალს ხალხთან არ უყვარდათ გართობა — შინაც კარგად გრძნობდნენ თავს. იშვიათად თუ მოვიდოდა ვინმე უსაქმოდ, ხანდახან საყვარელი ფრეილინა ეახლებოდა, ხელზე ეამბორებოდა ანდა მოხეტიალე ვინმე, ხეპრე სულიერი მამა, ყოფილი ცხენიპარია გამოცხადდებოდა ხიფთანითა და ლაქის ჩექმებით — ლოყებს დაუკოცნიდა, დაჯდებოდა, და გამჭვალავი თვალების ლულვით, რაც ენაზე მოადგებოდა, ყველაფერს ჩმახავდა. მეფე-დედოფალი სალოცავივით შესცქეროდა მის ქონიან წვერს, და თვალის დახამხამებასაც ვერ ბედავდა.

როცა მეფეს დალევა მოუნდებოდა, ოფიცერთა თავყრილობაზე მიდიოდა. დაუძახებდნენ პოლკის მენალარეებს, — დალევდნენ, წაიხემსებდნენ. მეორე დღეს კი დედოფლისაგან ნამალევად ოხრავდა და თავზე ჰქონდა ხელი წავლებული. იგი მართალია, ფრანგ ლუდოვიკოსავით სათუთუნეებს არ ჩარხავდა, მაგრამ, სამაგიეროდ ფოტოგრაფიაში ჰქონდა წარმატება, ან კიდევ რაიმე ერთფეროვან სიმღერას კრუტუნებდა, საკუთარ თავს ბილიარდს ეთამაშებოდა, ავერჩენკოს მოთხრობებს კითხულობდა და სიცილით იჭაჭებოდა. შებინდებისას ფანჯარასთან დგომა უყვარდა ხელში პაპიროსით, უყურებდა, როგორ ასველებდა წვრილი წვიმა ნაძვებსა და ბუჩქებს, რომელთა უკანაც დაცვის ჭორფლიანი მუშაკები ისხდნენ ყურებჩამოწეული ქუდებით.

დედოფალი თავის ოთახში იყო, ხელსახოცებს ქარგავდა და ფიქრობდა. ფიქრობდა წარბშეჭმუხნილი მრავალრიცხოვან მტრებზე, გამოუაშკარავებელ შეთქმულებებზე, უმადურ, ალვირახსნილ, მოჩხუბარ ხალხზე, მას რომ ხვდა წილად. ქმრის უბედურ ხასიათზე, შიშისა და პატივისცემის დამსახურება რომ ვერ შესძლო. ხანდახან საქარგავს ხელს შეუშვებდა, სავარძლის სახელურზე სათითით გაბოროტებით კაკუნს მოჰყვებოდა. თვალები, იმ წუთს რომ ვერაფერს ხედავდნენ, ჩაუმუქდებოდა. შირმის უკან, მაგიდაზე სასწაულმომქმედი ხატი იდო. ხშირად იყრიდა მის წინ დედოფალი მუხლს: ლოცულობდა, ელოდა სასწაულს, როდის აწკრიალდებოდა ზარი თავისით.

დამეთანხმებით, მხიარულად არ რბოდნენ წლები ალექსანდრეს სასახლეში. მთლად მოსაწყენი შეიქნა ყოფნა, როცა მეფე და მისი მემკვიდრე ომში წავიდნენ, დედოფალმა კი ტილოს თავსაფარი დაიხურა და სისხლისფერჯვრიანი ნაცრისფერი კაბა ჩაიცვა. ვერსალში სიკვდილის წინ მხიარულად მაინც ცხოვრობდნენ. როცა ჯალათი დედოფალს გილიოტინზე ხელებს უგრეხდა და კეფაზე თმას აჭრიდა, ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი. აქ კი, ყბები რომ მქონდეს, მთქნარებით ამომცვივდებოდა. ნეტა ღირდა ზავის შეთითხვნა, თუ ამ მოწყენილობასა და საერთო სიძულვილში იცხოვრებდნენ?

ეს ერთი ხანია შევნიშნე, დედოფალმა რაღაც უკარებად, ცერად დამიწყო ყურება. შეჩერდება მუცელზეხელშემოწყობილი და დაბალ შუბლს იჭმუხნის, თითქოს რაღაცის გაგებას, დაძლევას ლამობს. ფანჯრის მიღმა დეკემბერი მცველებს ქუდებზე თოვლს აყრის. მცველები ბუჩქებში სხედან და ხელებს იორთქლავენ. დედოფალი კი დადის, დადის უშედეგო რისხვით ნესტოებდაბერილი. ვაი რომ, არა აქვს თუნდაც სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ჩამოხრჩობის უფლება. ირგვლივ მტრებია, ყველა მის წინააღმდეგ შემდგარა ყალყზე.

ერთხელ ასეთ წუთებში ცნობა მიიღო, რომელმაც ის საბოლოოდ მოსტეხა: მისი ერთადერთი მეგობარი და მრჩეველი, მისი ხეპრე სულიერი მამა ხიდისქვეშ, ყინულჭრილში უნახავთ თავგატეხილი. თავისმა საყვარელმა ფრეილინამ აცნობა ეს ამბავი და თვითონაც სასომიხდილი — ატირებული ნოხზე დაეცა. მკვდარივით გაფითრდა დედოფალი, დაბარბაცდა და მოუდრეკელი ზურგით ჩემს წითელ კაბას მოეყრდნო. „დავილუპეთ, ვილა წარსდგება ჩვენს მაგივრად ღმერთთან?!“ სთქვა მან. შებინდებისას შავებით მოსილი, სახეზე რიდეჩამოფარებული მაძებრებშუა შეუმჩნევლად გავიდა. დიდხანს გავყურებდი მის ფიგურას, თანდათან თვალს რომ ეფარებოდა. მიდიოდა, რომ ხეპრე სულიერი მამის კუბოს წინ აქვითინებულიყო. გვამი მალულად ჩამოეტანათ პეტერბურგიდან განცალკევებით მდგარ სამლოცველოში.

უკანასკნელად გვიანი ღამით ვიხილე დედოფალი. გაყინულ ფანჯრებში შორეული ხანძარი ანათებდა, ფიჭვების კენწეროებზე მეწამული შუქი ირხეოდა. სითბო და სიბნელე იყო სასტუმრო ოთახში. სასახლეში ყველას ეძინა. უცბათ მაღალმა კარმა დაიჭრიალა და თეთრ ხალათში გამოწყობილი დედოფალი დავინახე,

ეროვნული ბიბლიოთეკა



11.308

— „რა იწვის, რა იწვის?" გერმანულად ჰკითხა სიცარიელეს და ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრებს ხან წითლად, ხან მოშავო-მოლურჯო ფანტასტურ ნაყშად ეფინა ყინვის ფოთლები.

დედოფალს სახე მოღრეცოდა, თვალებში ცრუმორწმუნეობის შიში უკრთოდა. იმ წუთას ორივეს ერთიდაიგივე მოგონებები აგვეშალა.

...ათიათასობით კაცი ხმაურობს, ღელავს ტიულერის აივნის ბადისა და ტერასების გასწვრივ. რევოლუციის მოედანზე აჯაგრულ ხიშტების ზემოთ, ფიცარნაგზე ორ ხის დგარს შუა სამკუთხამახვილიანი ნაჯახი აღმართულა, მეძეხვის ფანჯრიდან კონსიერჟერის ციხის კოშკის მახვილი თავი მოჩანს. გვერდით ოთხთვალა მიდის. ოთხთვალამ ხიდისკენ გადაუხვია და მდინარის აქეთა ნაპირზე გამოვიდა. ადამიანთა თავები ღელავს, თითქოს ქარი დანავარდობს ზედ. ჯარისკაცებითა და მედოლეებით გარშემორტყმული ოთხთვალა ამ ზღვაში შეცურდა. დოლების ბაგაბუგს ბრბოს ღრიალი ფარავს. ოთხთვალა ჩემს ფანჯარას გაუსწორდა და ცხენზე პირუკუ მჯდარი დედოფალი დავინახე. ხელები ზურგზე აქვს შეკრული, რის გამო ზურგი განსაკუთრებით სწორადაა გაჭიმული. დაჭმუჭნული შალის კაბის ქვეშ კორსეტი არ აცვია და ბებერი მკერდი ენაკვთება, მკერდი, რომელზეც სასახლის კარის პოეტები ოდესღაც მადრიგალებს სწერდნენ, რომლის ფორმის მიხედვითაც ქარვის თასია გაკეთებული. ამ თასით მეფე. ღვინოს მიირთმევდა. დედოფალს ყვითელი ყელი გაშიშვლებული აქვს, თავი ჩაუკიდია და ზიზღით, ქედმაღლური სიძულვილით ქვედა ტუჩი გამოუბურცავს. მაღალი ჩაჩიდან ერთი ბღუჯა თმა მოუჩანს. „სიკვდილი წყეულ ავსტრიელს!" ღრიალებენ სადათმიანი მოხუცი ქალები. ქალები ოთხრიგად მისდევენ ოთხთვალას და ჯარისათვის განუწყვეტლივ წინდებს ქსოვენ. ისინი რობესპიერის მქსოველები არიან. დავინახე, როგორ გაჩერდა ოთხთვალა. ირგვლივ სიჩუმე გამეფდა. ფიცარნაგზე ხანმოკლე წრიალი შეიქნა, თეთრი ჩაჩი სწრაფად მოძვრა დედოფალს თავიდან. სულ უფრო და უფრო ხმამაღლა, საშიშრად, ხმის ჩაწყვეტამდე აბაგუნდნენ დოლები. ნაჯახის სამკუთხა პირმა სხივი აირეკლა და კადონზე დაცურდა. ბრბოს ზემოთ ვილაცის გაშვერილ ხელს დედოფლის თავი დაეკიდა...

„წყეულებო, გადარეულებო, ქაჯებო, ქაჯებო!" ჩახრინწული ხმით რუსულად ჩაილაპარაკა დედოფალმა, რომელიც ხორბლისფრად გაჩირაღდნებულ ფანჯარაში იყურებოდა... მერე პირჯვრის წერასა და თავის კანტურს მოუხშირა, ისე, რომ კისერსაც კი არ არხევდა... ქვედა ტუჩი გამოებურცა და ოდნავ ჩამოეკიდა.

იმ ღამეს ბავშვები ავად გახდნენ წითელათი. იმ ღამეს უკანასკნელად გადმოდგა ფეხი დედოფალმა სასტუმრო ოთახის ზღურბლზე, სადაც დღემდე ვიმყოფები ფანჯრის მარცხენა მხარეს. სასახლის დამთვალიერებლები, თექურებზე რომ ტილოს ფეხსაცმელები აცვიათ, ჩემს წინ ერთი წუთით შეღგებიან ხოლმე, ხელმძღვანელი კი ეუბნება:

— ეს კი, ბატონყმური საწარმოს პროდუქციაა, იგი ეკუთვნის მიწათმოქმედთა კაპიტალისა და სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალს შორის ბრძოლის დასაწყისს.

თარგმნა **ნანული ცაგარეიშვილმა.**



ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალური ღირსება

ძვირფასო მეგობარო! ამ ბარათს შენი მისამართი არ აწერია, რადგან არ ვიცი, სად მოგისწრებს, სად წაიკითხავ. ვერც შენს სახელსა და გვარს ვაწერ, რადგან შენ, ამ წერილის ადრესატი, ჩემს შემეცნებაში არ არსებობ, როგორც ერთი ინდივიდი, ერთი ხასიათი, ერთი ბიოგრაფია — მე ყველა ჩემი ნაცნობის კრებადი სახე მოგეცი და ზოგადი სახელი: „ჩემი თანამედროვე".

ჩემი თანამედროვე! — იმ წინაპართა შთამომავალი, რომელიც ქართველი ხალხის ოცნებამ ერთ დიდებულ სახედ გამოძერწა და საქართველოს დედაქალაქის — მტრის ხელით ორმოცჯერ გადამწვარ და კვლავ მკვდრეთით აღმდგარ თბილისის თავზე აამაღლა, ვით სიმბოლო ქართველი ერის უკვდავების, ნამუსის და ძლიერებისა.

მაგრამ აგერ, ჩვენი მესხეთის ერთ-ერთ კუთხეში დგას კიდევ ერთი ქანდაკება: ფიზიკური სიჯანსაღის, სიმძლავრის გამომხატველი, უთავო, შიშველი ქალი.

არ ვიცი, რა უწოდა ავტორმა ამ ქანდაკებას, იქნებ „სიცოცხლის საწყისი". ან „ნაყოფიერება", მაგრამ, აგერ, ორმა მნახველმა ცინიკურად ჩაიქირქილა: „მართლაც და, ბიჭო, ქალს რად უნდა თავი"?

რამდენიმე ათეული წლის წინ ეს არ გამიკვირდებოდა, რადგან ჩვენთანაც კი, ქალის კულტის ქვეყანაში, სადაც ყველაფერი უძვირფასესი ქალის სახელთანაა დაკავშირებული: ოქროს ხანა — თამართან, ქრისტიანული განმანათლებლობა — ნინოსთან და თვით ქვეყნისთვისაც კი ხალხს „ღვთისმშობლის წილხვედრი" უწოდებია, იყო მისდამი კიდევ მეორეგვარი დამოკიდებულებაც: ქალს, როგორც ნივთს ყიდდნენ და ყიდულობდნენ, შეურაცხყოფდნენ და იმონებდნენ... მეცნიერული ნაშრომებითაც კი „ასაბუთებდნენ" ქალის გონებრივ არასრულფასოვნებას, განამტკიცებდნენ მამაკაცის ქალზე ბატონობის უფლებას. ხოლო საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის ქალმა, აჭარელმა ქალმა, სამი საუკუნე ზიდა მაჰმადიანური რელიგიის „წყალობა" — გონების დამაბნელებელი, სულის შემხუთველი, ადამიანური ღირსების შეურაცხმყოფელი შავი პირბადე.

შენ იცი, რომ ქალის განთავისუფლება საუკუნეობრივი მონობისაგან, მისი გამოყვანა ოჯახური კარჩაკეტილობიდან, არა მარტო სამართლიანობის გრძნობით — მოვლენათა მსვლელობის აუცილებლობით იყო განპირობებული. რევოლუციამ ადამიანური ღირსება დაგიბრუნა, თავისუფლებამ ფრთები მოგცა და ასე გაჩნდი შენ, ჩემი თანამედროვე.

რა თავბრუდამხვევია გზა საჩეჩელიდან — მეცნიერების მწვერვალებამდე, ხმა — მეუღლის ექოდან — საერთაშორისო ტრიბუნამდე!

რა საოცარი სისწრაფით იზრდება შენი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წონა — ერის აზრის, მეურნეობის, კულტურის განვითარებაში...

შენ უდიდესი ენერგიით და გულმხურვალებით იბრძვი, ილწვი, იკვლევ და იგონებ; სწყვეტ უძნელეს ამოცანებს, ადგენ გეგმებს, ამყარებ შრომით რეკორდებს, მონაწილეობ გონებისა და ოსტატობის მსოფლიო ასპარეზობებში და ამავე დროს შობ და ზრდი შვილებს, უვლი ოჯახს.

შენ ერთდროულად ზრუნავ ცხოვრების ამა თუ იმ უბნისა და საკუთარი კერის კეთილმოწყობაზე, ათასობით ადამიანთა და საკუთარი ქმარ-შვილის ბედნიერებაზე.

შენ შეგწევს უნარი, ერთდროულად უთიო ლამე შენს ბავშვსა და დისერტაციას, ალაგებდე ბინას, ამზადებდე სადილს და ფიქრობდე დებულებებზე, რომელთაც აყენებ და ამტკიცებ, მოხსენებაზე, რომლითაც ხვალ უნდა წარსდგე რომელიმე სამეცნიერო საბჭოსა თუ მსმენელთა ფართო აუდიტორიის წინაშე; შენ შეგიძლია ერთდროულად ამოწმებდე სახელმწიფო გეგმების შესრულებას და აკონტროლებდე შვილების საშინაო დავალებებს, ზრუნავდე მათს ქცევასა და ჯანმრთელობაზე, დარბოდე მშობელთა კომიტეტის სხდომებზე, ასრულებდე სხვადასხვა საზოგადოებრივ დავალებას...

შენ ერთდროულად მოგეთხოვება: იყო მამაკაცურად მკაცრი და საქმიანი, ქალურად მომხიბლავი და სათუთი და უეჭველად განათლებული, რომ მხარი უსწორო შენს დროსა და ქმარს, კულტურულად აღზარდო შვილები და წმინდად დაიცვა და შეინახო ის კარგიც, რისთვისაც უძველესი დროიდან ალტაცების სტრიქონებს გიძღვნიდნენ უცხოელი მოგზაურნი, გიმღეროდნენ პოეტები — ქართველქალური იერსახე, თავდაჭერილობა, კდემამოსილება, მაღალი ზნეობა და მოქალაქეობრივი შეგნება.

დიდედებისგან მემკვიდრეობით მიღებულ ყველა მოვალეობას დაემატა მრავალი ახალი და საპატიო ვალდებულება, ისეთი, რაც შენს დედობრივ ღირსებასთან ერთად, სიამაყით გავსებს, ძალას გმატებს, გზრდის და გამაღლებს.

მაგრამ შენს ზრდა-ამაღლებას მხარი ვერ უსწორა ყველა იმ საშუალებათა ზრდამ, რაც შენთვის აუცილებელი იყო, როგორც წყალი, როგორც ჰაერი... სახელმწიფოში მომხდარი უდიდესი ცვლილებები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ შეეხო ოჯახს — დააგვიანა საოჯახო მეურნეობის ძირეული გარდაქმნის პროცესმა, ჯერ კიდევ სათანადო დონეს ვერ მიაღწია ბავშვთა აღმზრდელობითი დაწესებულებების ქსელმა. ყველაფერზე რთული კი, ადამიანთა ფსიქიკისა და პირადად შენივე ფსიქიკის გარდაქმნა აღმოჩნდა.

ზოგჯერ შენ, ერის სიცოცხლის შემოქმედსა და ცხოვრების მშენებელს, გავიწყდება, რომ ნება გაქვს მოითხოვო ის, რაც გჭირდება შენი მრავალმხრივი მოვალეობების შესათავსებლად, მოითხოვო შენსავე მეუღლისაგან ის, რაც მას ევალება, როგორც მეუღლესა და მამას, იბრძოლო ყოველგვარი დაბრკოლებისა და სიმახინჯის წინააღმდეგ. და მაინც ყველაზე დიდი დაბრკოლება შენშივეა — საუკუნეებით განმტკიცებულ შენს მონურ ფსიქოლოგიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაა, რომ ზოგჯერ იქ, სადაც საჭიროა საქმიანი, დამაჯერებელი ტონი, შენ ცრემლებს იშველიებ და ითხოვ კუთვნილ უფლებებს, როგორც მოწყალებას.

ამიტომაა, რომ შენსავე ოჯახში ქმრისა და შვილისათვის ვერ შთაგინერგავს, რომ საკუთარი თავის მოვლა არ ამცირებს ადამიანს, ვერ შთაგინერგავს, რომ მხოლოდ ის ოჯახი შეიძლება იყოს ბედნიერი, რომლის ცხოვრება ოჯახის წევრთა ურთიერთ პატივისცემასა და საოჯახო მოვალეობის სამართლიან განაწილებაზეა დამყარებული. გავიწყდება, რომ შვილების აღზრდა მომავალ მეოჯახეებად, მათთვის აუცილებელი ჩვევების მიცემა მშობლების მოვალეობაა და მომავალი ოჯახების ბედნიერებისთვისაა აუცილებელი.

ხანდახან ზოგს ისიც ავიწყდება, რომ ქალია, რომ უფლებრივი გათანაბრება არ ნიშნავს ბიოლოგიურ თანასწორობას, რომ მამაკაცური ქალი ისეთივე სიმახინჯეა, როგორც ქალური მამაკაცი და ბუნებისაგან მისდამი მიმადლებულ სიკეთეს: სინატიფეს, სინაზეს უგულვებელყოფს და ჩაცმისა, თუ ქცევის წესით მამაკაცს ბაძავს. უფრო უარესია, როცა ქალი თავის თავში ქალური საწყისის დათრგუნვას ცდილობს, უარს ამბობს დედობის უმაღლეს, უწმინდეს მოწოდებაზე, და რჩება უნაყოფო და უშვილძირო, ან, რაც კიდევ მეტად შემზარავია, დედისთვის წარმოუდგენელი სიმკაცრითა და ეგოიზმით ანგრევს ოჯახს, ბედისანაბარა სტოვებს შვილებს...

ნათელ გონებასთან, საქმიან ბუნებასთან შერწყმული ქალური სიწმინდე, სინაზე, სითბო და ზოგჯერ ერთგვარი სენტიმენტალობაც კი, ჩემო თანამედროვევ, შენი იარაღია, შენი ბუნების ძალა.

თანამედროვეობა არც ულტრა-მოდურ ჩაცმულობაში გამოიხატება, არც თმის ახლებურ ვარცხნილობაში — ეს უფრო ღრმაა, უფრო არსებითი. ეს ნიშნავს შენი საქმიანობით, შენი დამოკიდებულებით მოვლენების მიმართ, იდგე შენი ერის სადღეისო ინტერესების დონეზე.

მართალია, მთელი ძალების დაძაბვით, მაგრამ შენ ამ სიძნელეებს თავსართმევ, თავსართმევ იმ ღრმა რწმენით, რომ ეს მხოლოდ ჩვენი თაობის სიძნელეა — მძიმე, მაგრამ საამაყო, საპატიო ტვირთი და რომ ჩვენი თავდადებული, უანგარო შრომით ვაშენებთ ჩვენი შვილების ბედნიერებას.

რა თქმა უნდა, ჩვენს შორისაც იყო, არის და იქნება პათოლოგიური გამონაკლისი, საზოგადოებრივი და პირველ რიგში ჩვენივე გაკიცხვის ღირსი — მახინჯი აღზრდის უბადრუკი პროდუქტი, მაგრამ მას არც მინდა ვუწოდო ქართველი ქალი, ჩემი თანამედროვე.

ჩემი თანამედროვე შენა ხარ: წესიერი და მშრომელი მოქალაქე, თავდადებული დედა და მეუღლე, გულმხურვალე შვილი შენი ერისა, სათუთი, გონიერი და ნამუსიანი...

და ამაშია შენი ქალური ღირსება!

მარიკა ბარათაშვილი

4/IX — 1970 წ.

# კიევ-ელი ქართვე-ლი



ბევრი იცნობს კიევში ელენე სტურუას და მას კიეველ ქართველს უწოდებს.

ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ ძველ ქუჩაზე სახლობდა. აქაური ზემო სართულის კიბეებზე უვლიათ მის სტუდენტებს, უკრაინელ ნაცნობ-მეგობრებს, თბილისიდან ჩამოსულ ქართველებს, კიევში მცხოვრებ ქართველებს კი — ყველაზე მეტად.

წყნარ ქუჩაზე, ელენეს ძმის, მხატვარ რობერტ სტურუას ნახატებით სავსე ოთახი ყველას ხვდებოდა თბილად, სტუმართმოყვრულად. აქ იყო ორი ხალხის — ქართველი და უკრაინელი ხალხის მასპინძლობა, ელენესა და მისი მეუღლის ბორის პონომარენკოს გულღიობა.

და რაზე არ იმართებოდა საუბარი — დიდებულ სოფიის ტაძარზე, ელისო ვირსალაძის კონცერტებზე, ელენე ახვლედიანის ნახატებზე, ქართულ ფილმებზე, ნოვიცკის თარგმანებზე.

ხშირად თურმეტს გადასცილდებოდა საათის ისარი, ქართველი დიასახლისი კი კვლავ ასხამდა ბროლის ჭიქებში გაციებულ ხილის წვენს, კვლავ ეკითხებოდა თბილისიდან ჩამოსულებს თბილისზე.

ოცდახუთი წელი იცხოვრა ელენე ივანეს ასულმა კიევში. ის ჩავიდა მაშინ, როცა ქალაქი დანგრეული იყო და ომის შემდეგ წელში იმართებოდა. მის თვალწინ აშენდა ახალი კიევი, აღდგა ძველი ისტორიული ადგილები და მანაც მიიტანა ერთი აგური ახალი ქალაქის სასიცოცხლოდ.

ის უკითხავდა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ლექციებს ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკის, მარქსიზმ-ლენინიზმის, დიამატის საკითხებზე. დიდი ამაგი დასდო კიევის თეატრალური ინსტიტუტის ახალგაზრდობას, გამოზარდა ბევრი კინორეჟისორი, თეატრმცოდნე, მსახიობი.

ელენე ივანეს ასულს ახალგაზრდები მიმართავდნენ გულღიად, უბრალოდ, სიყვარულით. მათთვის ლექციების შემდეგ ის იყო მეგობარი, მშობელი, ხელისგამმართავი. ელენე იცნობდა თავისი ახალგაზრდების ცხოვრებას, იცოდა მათი ავანჩავანი, იცოდა, ვის როდის შემოაკლდებოდა სტიპენდია.

სტუდენტები ყოველ ლექციას მოუთმენლად ელოდნენ. მათ მოსწონდათ, რომ ელენე ივანეს ასული თავის საგანს აძლევდა თავისებურ ელფერს, მიმზიდველობას, სიახლეს.

წლების მანძილზე კიევში ელენემ სავსე ცხოვრებით იცხოვრა. ამ წლებს ავსებდა მისი საქმეც და მეუღლის, კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორის საქმიანობაც. ელენესთვის ახლობელი გახდა კიევის მუსიკალური ცხოვრება, უხაროდა, რომ ზოგჯერ ქართული სურნელებითაც ახალისებდნენ მას, იღწვოდა იმისათვის, რომ კიეველებს გაეცნოთ ქართული ხელოვნება. კიეველებს არ დაავიწყდებათ „ჯამბაზები" და „სოფლის პატიოსნება" საოპერო თეატრში, რომლებიც ელენე ახვლედიანმა გააფორმა, არც ელისო ვირსალაძესთან შეხვედრა, არც ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტები, არც ლამარა ჭყონიას დაოსტატება მათ მიწაზე.

ელენე ივანეს ასულმა რამდენიმე საინტერესო წიგნი შესძინა ქართველებს და უკრაინელებს. ის თარგმნის ორივე მოძმე ხალხის ენაზე და აცნობს მათ ერთმანეთის კულტურას.

რაც აღვნიშნეთ, ყველაფერი წარსულში იყო. დღეს ელენე სტურუა თბილისშია. იგი დაბრუნდა საქართველოში და თან მოიტანა უკრაინელი ხალხის სიყვარული. რით დაიწყებს მოღვაწეობას? იქნებ ახალგაზრდობის წლები გაიხსენოს, როცა იყო ჟურნალისტი და ქართულ ცენტრალურ რესპუბლიკურ გაზეთში ათავსებდა წერილებს ომისდროინდელ გმირულ შემართებაზე ან იქნებ კვლავ სტუდენტებთან ურჩევნია, იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც საკუთარ ახალგაზრდობას ახსენებენ!

სამუშაო ბევრია და საინტერესო. ელენეს კი კვლავ დიდი სურვილი აქვს თავდავიწყებით მიეცეს საქმეს, აავსოს თავისი ცხოვრება ნათელი და მიმზიდველი ეპიზოდებით, ადამიანებს მისცეს ყველაფერი და თავისებური კვალი დასტოვოს მათ მახსოვრობაში.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ადამიანთა საკეთილდღეოდ

1918 წლის მღელვარე დღეები იყო. დიდი ჯიხაიშის სოფლის განაპირას ორთვალიანი ფიცრული სახლი იდგა, ერთი ოთახი სასტუმროდ ითვლებოდა, მეორე სამზარეულოდ. სამზარეულოში შუაცეცხლს შემოსხდომოდნენ ახალგაზრდა „სპარტაკელები“. კიევის უნივერსიტეტიდან ახლად ჩამოსული, კომუნისტი, აკაკი კაჭახიძე მათ პარტიის პროგრამას ასწავლიდა.

მერე თამარ კაჭახიძის ბინაში დაიდევს გიმნაზიელებმა ბინა. აქ კვირაში ორჯერ მაინც იმართებოდა კრება. ახალგაზრდები სახავდნენ გეგმებს, იღებდნენ ახალ-ახალ დავალებებს, მიჰქონდათ პროკლამაციები...

თამარს არასოდეს დაავიწყდება მისი პირველი ნათლობის დღე. მაშინ თექვსმეტი წლის იყო, როცა აკაკიმ ქუთაისში წაიყვანა. კონსპირაციულ ოთახში, მათ მიხა ცხაკაია დახვდათ. მიხამ უნდობლად შეათვალიერა გოგონა და ის იქო უნდა დაეტუქსა აკაკი, რომ თამარის ჯიუტ თვალებს წააწყდა და ღიმილი ვერ დაფარა. იმ ღამეს პროკლამაციებით დატვირთული ქალიშვილი ქუთაისიდან შინისაკენ მარტო დაადგა გზას. გზად მიმავალს, მენშევიკი, სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე ლეჟავა შეხვდა. თამარი შეცბა და მოკრძალებით უთხრა მასწავლებელს: ქუთაისში სასწავლო ნივთების სასყიდლად ვიყავით. ალექსანდრემ ისეთი სახე მიიღო, თითქოს დაუჯერა ქალიშვილს. დილაუთენია კი თამარის სახლს ალყა შემოარტყეს მენშევიკების დამქაშებმა, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდნენ უკან. იმავე საღამოს კულაშში, დაბა ჯიხაიში და იანეთში, წირვის შემდეგ, ეკლესიის ეზოში პროკლამაციები დაყარა თამარმა და ცხენებით მოთარეშე მილიციელებს თვალ და ხელშუა დაუსხლტა...

თამარი სისტემატურ კავშირში იყო სამტრედიის რაიონის კომკავშირულ ცენტრთან, რომელსაც ამბერკი კეკელია, შალვა პაპავა და სერგო ბახტაძე უდგნენ სათავეში. ქალიშვილი დაუზარებლად ასრულებდა ყველა დავალებას და შველოდა მათ სოფლებში ახალი „სპარტაკული“ ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში... ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირული ქალიშვილი 1921 წლის იანვარში ჩადგა პარტიის რიგებში. ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო თამარმა. დაიმსხვრა მეფის ტახტი და თამარს გზა გაეხსნა. სწავლამოწყურებული ქალიშვილი თბილისში ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად...

1923 წელს თამარი უკვე თბილისის სატვირთო სადგურში მუშაობდა საქმის მწარმოებლად, ამავე დროს აქტიური წვლილი შეჰქონდა ქალთა შორის მუშაობის საქმეში. იგი ლენინის რაიონში მცხოვრებ მუშა და დიასახლის ქალებს უწყობდა საუბრებს საინტერესო თემებზე: ათეიზმზე, პოლიტიკურ სიფხიზლეზე, მხარში უდგა გაჭირვებულ ადამიანებს, ეხმარებოდა მათ მორალურად და ეკონომიურად.

1927 წელს თამარი გადაიყვანეს თბილისის კომიტეტში ქალთა განყოფილების ინსტრუქტორად. პარტიის დავალებით იგი ხშირად იყო მივლინებაში გარეკახეთში, ერწო-თიანეთში. აქ ყველაზე უფრო უჭირდათ ქალებს. თამარს სისხლის ფასად უჯდებოდა საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ძველი ადათ-ჩვევების აღმოფხვრა, იმ ჩვევებისა, რომლებიც ქალთა უფლებებს ზღუდავდა და ბორკავდა. სიკეთისმთესველ თამარს განსაკუთრებით მამაკაცები აღუდგნენ წინ, კატეგორიულად არ უნდოდათ მათ ყოფაცხოვრებაში შეჭრილიყო განათლება, ისინი სკოლებში არ უშვებდნენ ბავშვებს. მშობიარე ქალს უწმინდურად თვლიდნენ და სახლში არ ამშობიარებდნენ. თამარი დღედაღამე, მუხლჩაუხრელი დადიოდა მაშინდელი ერწო-თიანეთის ტალახიან ორღობეებში. დადიოდა კარდაკარ და დამაჯერებლად ესაუბრებოდა გლეხებს თუ რა სიკეთე მოჰქონდა სწავლას. ვინ მოსთვლის რამდენი მშობიარე ქალი იხსნა ექიმის ჩარევით სიკვდილისაგან, რამდენი პატარა მიაბარა სკოლაში.

1928 წელს თამარი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების ორგანოს ჟურნალ „მშრომელი ქალის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჟურნალი დახმარებოდა მშრომელ ქალს.

1980 წელს თამარი თბილისში სახალხო მოსამართლედ აირჩიეს, 1982 წელს კი — აჭარის უმაღლესი სასამართლოს წევრად.

საქმის ერთგული, ენერგიული ქალი პარტიას იქ გადაჰყავდა, სადაც საქმე მოითხოვდა, მისი უანგარო შრომა ყველგან ნათელ კვალს სტოვებდა...

თუმც ახლა სამოცდაათი წლის თამარი პერსონალური პენსიონერია, შინ მაინც არ უდგება გული. იგი თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში ერთ-ერთ ქალთა კომისიას ხელმძღვანელობს, ცდილობს კვლავ მოუტანოს სარგებლობა ადამიანებს...

ოლია დადიანი

# ჩვენი საოჯახო კლუბი

# მინაზე უფრო სათუთი

„ბავშვი უფრო ძვირფასი საუნჯეა, ვიდრე ოქრო, მაგრამ ბავშვი უფრო სათუთია, ვიდრე მინა, ადვილად შეიძლება შეირყეს და დასახიჩრდეს, ხოლო აქედან გამომდინარე უბედურებას კი აღარაფერი ეშველება“.

ეს სიტყვები დიდ ჩეხ პედაგოგ-განმანათლებელს იან ამოს კომენსკის ეკუთვნის.

როდის უნდა დავიწყოთ ბავშვის ჯანმრთელობაზე, მის გარეგნულ იერზე ზრუნვა? როგორც პედაგოგიური, ისე სამედიცინო ლიტერატურა ამაზე მხოლოდ ერთ პასუხს იძლევა: **ჯერ კიდევ დაბადებამდე!**

მაგალითად, ცნობილია, რომ ბავშვის ოლიგოფრენიისა (გონებასუსტობა) და აქედან გამომდინარე მთელი რიგი გარეგნული დეფექტების (მოდუნებულობა, გადაჭარბებული სიმსუქნე, ზორზოხა ტანი, უაზრო გამომეტყველება) მიზეზი შეიძლება გახდეს მშობლების ლოთობა. ჩეხოსლოვაკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუ ფეხმძიმე ქალი თამბაქოს ეწევა, ახალშობილის წონა საშუალოზე 114-262 გრამით ნაკლები იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაყოფის განვითარებისათვის ნიკოტინით მოშხამული ორგანიზმი გაცილებით ცუდ ატმოსფეროს ქმნის. დამტკიცებულია ისიც, რომ მუცლის მოშლა და ნაადრევი მშობიარობა ორჯერ მეტია იმ ქალებში, ვინც პაპიროსს ეწევა და სვამს. ხდება ისეც, რომ შედეგი ბავშვში მოგვიანებით იჩენს თავს (მოუსვენრობა, კრუნჩხვები, მეტყველებისა და სიარულის უუნარობა). ჩანასახზე გავლენას ახდენს დედის კვება, მის მიერ გადატანილი ვირუსული დაავადებანი, ფიზიკური ტრავმები. სწორედ ამიტომ, კომენსკი შვილის მომლოდინე დედებს არიგებდა, თავიანთი გაუფრთხილებლობით ზიანი არ მიეყენებინათ ნაყოფისათვის. იგი მოითხოვდა ფეხმძიმე ქალის ჭამასმაში ზომიერებას, ყოველგვარი უცაბედი შიშისაგან და უსიამოვნო განცდებისაგან დაზღვევას, ფიზიკური ზემოქმედებისაგან მათ დაცვას, რადგან ყოველივე ამას შეიძლება უჯანო ან მკვდარი ბავშვის დაბადებაც კი მოჰყვესო.

ამ თვალსაზრისითვე ჟან-ჟაკ რუსო მოითხოვდა, რომ ბავშვს დაბადებამდე ჰყავდეს აღმზრდელიო.

აუხსნელი მიზეზებითაც იბადებიან ხეიბრები. ასახელებენ ფრანკფურტში მცხოვრებ გერმანელ უბედურ ქალს, რომელსაც ორი ენა ჰქონდა და ერთი სიტყვის თქმაც კი არ შეეძლო. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია უამრავი ანომალია.

ზოგ შემთხვევაში თვით მშობიარობაც ხდება ნაირ-ნაირი ტრავმების მიზეზი. როგორც დიდი ქართველი ფსიქოლოგი დ. უზნაძე აღნიშნავს: „შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი გეოლოგიური კატაკლიზმი არ სცვლის არსებით მდგომარეობას ისე ანაზდეულად და ისე ძირითადად, როგორც დაბადების აქტი... თოთო სხეულს იმდენი არაჩვეულებრივი ძლიერისა და უხეში ზემოქმედების ატანა უხდება, რომ მომავალში მას ამის მსგავსიც კი არაფერი შეხვდება“.

ყოველივე ზემოთთქმულის შემდეგ რა დასანანია, როცა ჯანსაღი, სრულიად უნაკლო, მალხაზი ბიჭუნა ან გოგონა შემდეგ, უფროსების დაუდევრობით, სახიჩრდება, ამისათვის კი უამრავი მიზეზი და საბაბია, რომლებზეც გვსურს გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება.

ლიტერატურაში დასახელებულია ასეთი მაგალითი: ოჯახისთვის მეტად სანატრელმა და სასურველმა სტუმარმა სამი თვის ბავშვი ხელში აიყვანა, მიეღოლიავა. მისთვის მეტი სიამოვნება რომ მიენიჭებინა, გაიქნია. ბავშვმა თავი მსუბუქად მიახალა აივნის სვეტს. ატირდა. ძუძუ რომ მიაწოდეს, დაწყნარდა. მოგვიანებით ცხადი გახდა, რომ იგი სამუდამოდ დადუმდა. გამოირკვა, რომ ის მცირე დარტყმაც კი საკმაო გახდა ბავშვის სამეტყველო ცენტრის დასაზიანებლად.

ქვემოთ მოგვყავს შემთხვევები, რომელთა უშუალო მოწმე ამ წერილის ავტორია:

ბიჭუნებმა ბებიის თითისტარი აიღეს და მოჰყვნენ მის ტრიალს. შემდეგ შეეცილნენ ერთმანეთს: არა ჩემი ჯერია და არა ჩემიო. ძიძგილაობაში უმცროს ძმას თითისტარი თვალში მოხვდა და მარჯვენა თვალი დაუბრმავდა;

ბავშვები ბუხართან თამაშობდნენ, მუგუზლის ქნევით ირთობდნენ თავს. ბიჭუნას ხელიდან გაუვარდა მუგუზალი და თავის პაწია დაიკოს სამუდამო დაღი დაასვა ლოყაზე.

კიდევ უფრო სამწუხაროა, როცა თვით უფროსების დაუდევრობის გამო სახიჩრდება ბავშვი.

ბიძამ ძმისწულს ოთხბორბლიან გოგორაში თხა შეუბა. თხა დაფრთხა, ბავშვი გაიტაცა და სახლის ქვეშ შევარდა. ბიჭუნამ შუბლი ბოძს მიახალა. მიუხედავად დროზე მიღებული ზომებისა, პატარას შუბლზე ნაკერები დააჩნდა. ხომ შეიძლებოდა, რომ იგი სულ გამოსალმებოდა წუთისოფელს?

მამა ცხენს მიუძღოდა. წყლიდან ნაპირზე რომ ადიოდნენ, ბავშვი ცხენიდან გადმოვარდა და წყალში მოიღო ტყაპანი. მამა გაბრაზდა, ბავშვი გაკიცხა: ტომარა ხომ არა ხარ, რომ ჩამოვარდიო. ხელახლა შესვა და ცხენს წკეპლა უცხუნა. ცხენი ადგილიდან მოსწყდა, ბავშვი კვლავ გადმოვარდა, ტვინის შერყევაც მიიღო და ხელიც მოიტეხა.

მშობელმა აქაც მიუტევებელი შეცდომა ჩაიდინა. ბავშვი ექიმბაშს ჩაუგდო ხელში. ფული ბევრი გადაიხადა, მაგრამ ბავშვს ცუდად შეეზარდა მოტეხილობა და ეს პირველი შეხედვისთანავე ემჩნევა.

წლინახევრის გოგონას ლობიოს მარცვალი შეუვარდა ყურში. როგორც ჩანს, კარგა ხანს თამაშობდა ლობიოს მარცვლებით, მაგრამ უფროსებს არ დაუშლიათ. მხოლოდ მაშინ აწრიალდა დედა, როცა მარცვალი ბავშვს ყურში აღმოაჩნდა. შეეცადა თმის სამაგრით გამოეღო. მაგრამ, რაც მეტს ცდილობდა, მარცვალი უფრო სიღრმეში მიდიოდა. ბოლოს ექიმთან გააქანა ბავშვი, დიდი ვაი-ვაგლახით ამოიღეს ექიმებმა ყურის სიღრმეში ჩაჭედილი მარცვალი. დედის „ექიმობამ“ თავისი შედეგი გამოიღო. მოგვიანებით დადგინდა, რომ ბავშვს დაფის აპკის ტრავმა მიეღო და მარცხენა ყურში სმენა დაეკარგა.

ვიცით მშობლების უყურადღებობით გამოწვეული სხვა სახის უსიამოვნებანიც. როცა თითის წოვის დასაგმობი ჩვევა ბავშვს ძუძუს კბილების მოცვლის შემდეგაც გაჰყვა და რვა წლის გოგონას ზედა და ქვედა კბილებს შორის ოვალური წრე აღმოაჩნდა, ხოლო ხელის ცერა თითი — წვრილი და გაღეული.

ან როცა მშობლებმა ყურადღება მხოლოდ მაშინ მიაქციეს ბავშვის კბილის ცვლას, როცა მორყეული ძუძუს კბილებს უკან მუდმივი კბილები ამოეჭრა. ბუნებრივია, ბავშვის გარეგნულ იერზე გავლენა მოახდინა ოღროჩოღრო კბილებმა და მას „ღოჯუბიანი“ შეარქვეს. ამას მრავალჯერ მოუკლავს გული ბავშვისთვისაც და მშობლებისთვისაც.

უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა პირუტყვის, ტრანსპორტის, ელექტროდენის, გაზის, მანქანა-იარაღების, სასროლი თუ ცივი იარაღების გაუფრთხილებლობით გამოწვეული ტრავმებისა. აბა, მიმოვიხედოთ ირგვლივ, რამდენი შემთხვევა მოგვაგონდება ჩვენ მიერ უშუალოდ ნახული თუ სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მიერ ნაამბობი და ყოველივე ამის მიზეზი ძალიან ხშირად მშობელთა ან სხვა მახლობელ პირთა უყურადღებობაა. აქვე გვსურს მკითხველს შევახსენოთ, რომ ბავშვები მტკივნეულად განიცდიან სულ მცირე ფიზიკურ ნაკლსაც კი. ისინი ძალიან შიშობენ, რომ ვინმემ არ წამოსძახოთ და თუ წამოსძახეს, უდიდესი ფსიქიკური ტრავმა ადგებათ.

მაინც როგორ მოვიქცეთ, თუ ბავშვი შეუხედავია ან რაიმე მიზეზით ფიზიკური ტრავმა მიიღო? აქ პირველ ყოვლისა, საჭიროა დიდი ადამიანური და პედაგოგიური ტაქტი. მოზარდს (სულ ერთია, ჩვენი იქნება თუ სხვისი.) არასდროს არ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ იგი ულამაზოა, არასდროს არ უნდა შევადაროთ ის ამ მხრივ მასზე უკეთესს. არასოდეს არ უნდა დავუშვათ, რომ ხეიბარს ვინმემ წასძახოს. როცა ბავშვს ესა თუ ის ფიზიკური ნაკლი აქვს და ვხედავთ, რომ მტკივნეულად განიცდის, ამ შემთხვევაში ყველაზე უებარი წამალია სხვათა მაგალითი. მიმოვიხედოთ ჩვენს ირგვლივ — რამდენი შესანიშნავი ადამიანია, რომელსაც სამამულო ომმა თუ რაიმე უბედურმა შემთხვევამ თავისი დაღი დაასვა. ხშირად უნდა გავაგონოთ ბავშვს, რომ ვთქვათ, ესა და ეს კაცი უხელოა (ყურს აკლია, კოჭლია, უსინათლოა), მაგრამ რა კარგი ადამიანია, რა ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს და სხვა. ეს უნდა ხდებოდეს ვითომ ისე, სხვათა შორის, ბავშვის გასაგონად წარმოებულ თანამოსაუბრეთა მასლაათში. რად ღირს თუნდაც კუტუზოვის, მერესიევის, ნიკოლოზ ოსტროვსკის მაგალითები.

ბუნებისაგან დაჩაგრულ ბავშვს უნდა შთავაგონოთ, რომ პიროვნება მხოლოდ თავისი გარეგნული შეხედულებით კი არ ფასდება, არამედ მისი ადამიანობით, საქმიანობით, პირადი ღირსებით. ყოველივე ამით ბავშვს ავაცდენთ სულიერ ტანჯვას, ჩავუნერგავთ საკუთარი ძალებისადმი მტკიცე რწმენას, მის ცხოვრებას გავხდით ხალისიანს. უნდა გვახსოვდეს, რომ ამას უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ბავშვის ტოლ-ამხანაგებს უნდა ჩავუნერგოთ ბედით დაჩაგრულისადმი სიყვარული და პატივისცემა. აქ დიდი როლის შესრულება შეუძლია მხატვრულ სიტყვასაც, ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ბავშვებს ჰუმანიზმს უნერგავს.

ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილი ყველა უბედური შემთხვევის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ბევრი ფათერაკის აცილება იოლად შეიძლება, თუ სათანადო სიფრთხილესა და გულისხმიერებას გამოვიჩენთ, მაგრამ რა ძვირად გვიჯდება უყურადღებობა და წინდაუხედაობა!

უპირველეს ყოვლისა, ყველგან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მოზარდი, მართლაც მინაზე უფრო სათუთია და არაბუნდოვანი ანდაზისა არ იყოს — „ბალღს ცეცხლზე შედგმულ რძესავით უნდა თვალის მიდევნება“.

ვახტანგ კახაძე



# ქოლეცისტოპათია

ბავშვთა ასაკში მუცლის პერიოდული ტკივილი ხშირად ღვიძლის გარეშე სანაღვლე გზების დაავადებით ანუ ქოლეცისტოპათიით არის გამოწვეული.

ღვიძლის გარეშე სანაღვლე სადინარები უზრუნველყოფს ღვიძლში გამომუშავებული ნაღველის მოთხოვნილებისამებრ ნაწლავებში მიტანას; ნაღველი, რომელსაც ღვიძლი მოთხოვნილების გარეშე გამოიმუშავებს, გროვდება სათანადო რეზერვუარში — ნაღვლის ბუშტში.

როცა ვლაპარაკობთ ღვიძლის გარეშე სანაღვლე სადინართა დაავადებაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ყოველთვის ასე შემოსაზღვრულია და ღვიძლის დაუზიანებლად მიმდინარეობს. რასაკვირველია, ზოგიერთ შემთხვევაში ღვიძლიც მეტ-ნაკლებად ჩათრეულია, მაგრამ ძირითადში ეს მაინც ქოლეცისტოპათიაა, რადგან დაავადების მიმდინარეობაში ამ უკანასკნელის ნიშნები ჭარბობს.

ბავშვებში ქოლეცისტოპათია ძირითადად ქრონიკული, პერიოდული გამწვავებით მიმდინარე დაავადებაა. სხვა ქრონიკული დაავადებისგან განსხვავებით, მას არა აქვს მწვავე დასაწყისი. იგი უმთავრესად სკოლამდელ ასაკში თანდათანობით, შემპარავად იწყება და სასკოლო ასაკში შედარებით მკაფიო ნიშნებით ხასიათდება.

შეიძლება ითქვას, რომ მუცლის შეტევითი ხასიათის ტკივილი ქოლეცისტოპათიის დასაწყისი კი არ არის, არამედ მისი აშკარად გამოვლინებული სტადია, რომელსაც წინ უძღოდა სანაღვლე გზების ფუნქციური აშლილობა.

ქოლეცისტოპათია მეტწილად ვითარდება სხვა ორგანოთა გახანგრძლივებულ, ქრონიკულ დაავადებათა ფონზე, როგორიცაა ბავშვებში კუჭ-ნაწლავის ქრონიკული, პერიოდული გამწვავებით მიმდინარე აშლილობა ან ზედა სასუნთქი გზების ანთება. აღნიშნული დაავადებანი იწვევენ სანაღვლე გზების ნერვულ-კუნთოვანი აპარატის მოქმედების მოშლას ნაღვლის გამოყოფის გაძლიერებით, შეკავებით, შეგუბებით, რასაც მედიცინაში ფუნქციურ აშლილობას უწოდებენ. ფუნქციური აშლილობის შედეგად იქმნება ხელსაყრელი პირობები ინფექციის ჩასახლებისა და გამრავლებისათვის, რასაც სანაღვლე გზების ანთება მოჰყვება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ქოლეცისტოპათიის შემთხვევებში ხდება ლამბლიების ჩასახლება. ნორმალურ სანაღვლე გზებში ანუ ნაღველში ლამბლიები იღუპებიან. ქოლეცისტოპათიის შემთხვევაში ისინი მეორადად ჩასახლდებიან და მრავალდებიან უკვე დაავადებულ სანაღვლე გზებში. ამიტომ, ლამბლიები არ იწვევენ ქოლეცისტოპათიას, მაგრამ ხელს უწყობენ ამ დაავადების გააქტივებასა და გახანგრძლივებას.

ღვიძლის გარეშე სანაღვლე გზების დაავადებისას ბავშვები მუცლის სხვადასხვა ხასიათის პერიოდულ ტკივილს უჩივიან, რომელიც ბავშვთა ასაკში ძირითადად უტემპერატუროდ მიმდინარეობს. თუ ასეთ ავადმყოფს ხანგრძლივი სუბფებრილური ტემპერატურა (37,2°—37,5°) აქვს, იგი მეტწილად სხვა თანარსებულ დაავადებას მიეწერება, რის გამოც ავადმყოფი გულდასმით გამოკვლევას მოითხოვს.

ქოლეცისტოპათია უმრავლეს შემთხვევაში მარჯვენა ან მარცხენა ფერდქვეშ, ზოგჯერ კი ჭიპის გარშემო ყრუ ტკივილით იწყება. მუცლის ტკივილი შეიძლება მეორდებოდეს თვეში ერთხელ ან ორჯერ, ზოგჯერ — კვირაში ერთხელ. ყრუ ხასიათის ტკივილი, დასაშვებია, ბავშვს ყოველდღიურადაც აწუხებდეს, შეტევითი ხასიათის ტკივილი კი — უფრო იშვიათად. ტკივილი მეტწილად რამდენიმე საათი ან, იშვიათად, მთელი დღე გრძელდება. ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს მწვავე ინფექცია, ნაწლავთა აშლილობის მორიგი გამწვავება, რაიმე საკვების მიღება, ფიზიკური დატვირთვა (სირბილი, ხტუნაობა). ტკივილის გარდა, ყურადღებას იპყრობს ბავშვის უმადობა, იშვიათად — ტემპერატურის მცირედი მომატება, პირსაქმება, შეკრულობა ან ნაწლავთა აშლილობა (ფაღარათი), შეტევის დროს, თავის ტკივილი, ხელფეხის გაციება, მუცლის შებერვა და სხვა.

ავადმყოფის გასინჯვისას, გარდა ქოლეცისტოპათიისათვის დამახასიათებელი მტკივნეული წერტილების არსებობისა, ხშირად ყურადღებას იპყრობს მსხვილი ნაწლავის შემსხვილება, მტკივნეულობა ან მგრძნობელობა, რაც ქრონიკულ კოლიტზე (მსხვილი ნაწლავის ქრონიკულ ანთებაზე) მიგვითითებს და, საბოლოოდ ნაწლავთა დათვალიერებით და მსხვილი ნაწლავის ჩამონარეცხის მიკროსკოპიული შესწავლით დასტურდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოლეცისტოპათიის დიაგნოზის საბოლოოდ დასადგენად საჭიროა ზონდის საშუალებით ნაღვლის მიღება და მისი როგორც თვალით, ისე მიკროსკოპით შემოწმება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღვიძლის გარეშე სანაღვლე გზების დაავადება ყოველთვის მოითხოვს მსხვილი ნაწლავის მდგომარეობის შესწავლას და, საჭიროების შემთხვევაში, აქტიური კურსობრივი მკურნალობის ჩატარებას.

ღვიძლის გარეშე სანაღვლე გზების ანთება მიკრობული ბუნებისაა, ამიტომ მკურნალობას ანტიბიოტიკებით იწყებენ. ამასთან ერთად, აუცილებელია ნაღვლის ბუშტის პერიოდული დაცვა, რასაც თერაპიულ ტიუბაჟს უწოდებენ. ამისათვის 2-3 თვის მანძილზე კვირაში ერთხელ ავადმყოფ ბავშვს პედიატრი უნიშნავს ინგლისურ მარილს, რომელსაც 1/2 ჩაის ჭიქა თითქმის ცხელ წყალში (უმჯობესია, ბორჯომის წყალში) გახსნიან. ინგლისური მარილი იმდენი გრამი უნდა აიღოთ, რამდენი წლისააცა ბავშვი, გახსენით ზემოაღნიშნული წესით, დაალევინეთ დილით უზმოზე და დააწვინეთ 2-3 საათით მარჯვენა გვერდზე სათბურით.

ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ ბავშვის ნაწლავები ყოველდღიურად მოქმედებდეს.

ბავშვი საკვებს დღეში 4-ჯერ მაინც უნდა იღებდეს. საკვები ავადმყოფს ყოველთვის თბილი მიეცით. ბავშვმა უნდა ჭამოს ნელა, კარგად უნდა დაღეჭოს, ჭამის დროს არ ილაპარაკოს, არ იკითხოს. ავადმყოფს უნდა მიეცეს ვიტამინები, როგორც საკვების (ასკილი, ხენდრო, კომბოსტო, კარტოფილი, ოხრახუში, სტაფილო და ჭარხლის წვენი), ისე ინექციების (ნემსების) სახით.

გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის კვებას. რძის პროდუქტებიდან კარგია ახალი ყველი, ხაჭო, რძეზე დამზადებული ფაფები, ცხიმებიდან უნდა მივცეთ კარაქი (სჯობს, კარაქი ჩავუმატოთ საჭმელს, ვიდრე კარაქზე შევწვათ), კარგად გაწმენდილი მზესუმზირის ზეთი მცირე რაოდენობით (თუ ჩატარებული გაქვთ კოლიტის მკურნალობა), კვერცხი (უფრო ხშირად-თოლხო), ბოსტნეულისა (სოკოს და ლობიოს გარდა) და ბურღულის წვნიანი, კუჭში არსებული ცვლილებების დროს კი — კარგად მოხარშული თევზი და ხორცი.

ავადმყოფს არ უნდა მიეცეს ბატის, ღორის, ცხვრის და, საერთოდ, ცხიმიანი ხორცი; აგრეთვე — თირკმლები, ტვინი, მარგარინი, ძმარი, წიწაკა, კონსერვები, მდოგვი, პირშუშხა, ალკოჰოლიანი სასმელი და სხვა.

ღვიძლის გარეშე სანაღვლე გზების დაავადება მოითხოვს კურორტულ მკურნალობას ჯავაში, ბორჯომში, ჟელეზნოვოდსკში, ესენტუკში, პიატიგორსკში. მკურნალობა ამ კურორტებზე უნდა გამეორდეს ზედიზედ 3-4 წელიწადს.

ქოლეცისტოპათიით დაავადებულ ბავშვს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს კურსობრივი მკურნალობა, ამისათვის აუცილებლად უნდა მიმართოთ ბავშვთა ექიმს.

**პროფესორი მერი ბელოყანი**

# ჭარხალი ახალგაზრდობას გვინარჩუნებს

სუფრის ჭარხალი ძვირფასი ბოსტნეულია. ის შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად საჭირო მრავალ ნივთიერებას. ნახშირწყლების, ცილების და ყოველგვარი მარილების გარდა, მასში არის ადამიანისათვის საჭირო თითქმის ყველა ვიტამინი, ორგანული მჟავები და მიკროელემენტები.

ჭარხალს მრავალნაირად ამზადებენ. მას ქორფა ძირებს წვნიანი კერძების დასამზადებლად იყენებენ, ახალგაზრდა ფოთლებს — მხალად. მოზრდილი ძირხვენა სხვადასხვა კერძების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ის შეიძლება დამწნილდეს როგორც ცალკე, ისე კომბოსტოსთან, პამიდორთან, ხახვთან ან სხვა ბოსტნეულთან ერთად. მისგან მზადდება აგრეთვე ნატურალური კონსერვებიც.

ჭარხალი თავისი ბიოლოგიური თვისებების წყალობით კარგად იზამთრებს ნიადაგში და ინახება სათავსოებში. ამიტომ მისი მოხმარება წელიწადის ნებისმიერ დროში შეიძლება.

საკავშირო მემცენარეობის ინსტიტუტისა და ვიტამინების ინსტიტუტის ბიოქიმიური ლაბორატორიების მონაცემებით დადგენილია, რომ მასში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა C, $B^1$, $B^2$, P და PP ვიტამინები.

მედიცინაში ცნობილია, რომ C ვიტამინი ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, წარმოადგენს სურავანდის სამკურნალო საშუალებას, აჩქარებს ჭრილობებისა და გატეხილი ძვლების შეხორცებას და სხვ. ვიტამინი $B^1$ დადებითად მოქმედებს ნერვული და კუჭნაწლავის დაავადების მიმდინარეობაზე. ვიტამინი $B^2$ ხელს უწყობს ორგანიზმში საკვებ ნივთიერებათა ნორმალურ შეთვისებას, უჯრედების აღდგენას და ეხმარება მხედველობის გაუმჯობესების საქმეს. ვიტამინი P ადიდებს უწვრილესი სისხლძარღვების — კაპილარების სიმაგრეს და აფერხებს მის დაბერებას, ხელს უწყობს არტერიული წნევის შემცირებას. ეხმარება ჟანგვას და ორგანიზმში ასკორბინის მჟავას დაგროვებას. ამ უკანასკნელს კი, პროფესორ პეტროვსკის განმარტებით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, ხანდაზმული ადამიანებისათვის. მრავალ მკვლევართა აზრით, ვიტამინი P არ გროვდება ორგანიზმში, ამიტომ აუცილებელია მისი მიღება ბოსტნეულითა და ხილით. P ვიტამინს კი ძალიან მცირე რაოდენობით შეიცავს ისეთი ფართოდ გავრცელებული ბოსტნეული, როგორიცაა კომბოსტო და პამიდორი, ხოლო მთელ რიგ სხვა ბოსტნეულში სრულიად არ მოიპოვება. P ვიტამინს ამ ბოლო დროს ახალგაზრდობის ვიტამინსაც უწოდებენ (პროფ. ა. კონსტანტინოვი). ვიტამინი PP ცნობილია პელაგრის საწინააღმდეგო საშუალებად. დადებით გავლენას ახდენს იგი აგრეთვე ნერვულ და კუჭ-ნაწლავთა დაავადების დროს.

ფოსფორისა და კალიუმის შემცველობით ჭარხალი ბოსტნეულთა შორის პირველ ადგილზეა. ხოლო კალციუმის, მაგნიუმის, რკინის, ბორის, ბარიუმის, კობალტის, იოდის, ნიკელის და სხვათა შემცველობით არ ჩამორჩება სხვა ბოსტნეულს. ამრიგად, მისი ზომიერად მიღება ჯანმრთელობის საწინდარია.

# ნიახური — მწვანე აფთიაქი

ნიახური სურნელოვანი არომატული ბოსტნეულია. მასში ამ თვისებას ეთერზეთების შემცველობა აპირობებს. ნიახური გამოიყენება ნედლად, როგორც მწვანილი, საკმაზსანელებლად, კონსერვებში, როგორც არომატული ნივთიერება და სხვა.

ნიახური, როგორც სურნელოვან, არომატულ ნივთიერებათა წყარო, აუმჯობესებს საჭმლის გემოს და ხელს უწყობს მის უკეთ შეთვისებასა და მონელებას.

თ. ა. კეზელის მონაცემებით, ფოთლოვანი ნიახური შეიცავს 0,098 მგ% $B^1$, 0.013 მგ% $B^2$-ს, 16,3 მგ% C და 0,25 მგ% PP ვიტამინებს. მნიშვნელოვანი რაოდენობითაა მასში კაროტინიც (პროვიტამინი A).

ნიახური მდიდარია ცილებითა და მინერალური მარილებით. მშრალ მდგომარეობაში ის შეიცავს კალიუმს 1,25%, კალციუმს — 1,91%, მაგნიუმს — 0,20%, ფოსფორს — 0,58%-ს.

ნიახურს წინათ სამკურნალოდ იყენებდნენ. სამკურნალო მნიშვნელობა მას დღესაც არ დაუკარგავს. მისი თესლი, ფოთლები და ძირი რეკომენდებულია თირკმელების ზოგიერთი სახის დაავადების დროს. მას იყენებენ, როგორც სისხლის გამწმენდსა და ჭრილობის შემხორცებელ ფაქტორს. ვარაუდობენ, ნიახურის ფოთლებში არსებული ქლოროფილი ადიდებს სისხლში ჰემოგლობინის რაოდენობას და სხვა.

ნიახური საქართველოში თავისუფლად ზამთრობს ღია გრუნტში. ამიტომ მისი მოხმარება შესაძლებელია წლის ყველა პერიოდში. ცნობილია, რომ ვიტამინების, მარილებისა და არომატული ნივთიერების შემცველობა ახლად დაკრეფილ ბოსტნეულში ყოველთვის მეტია, ვიდრე სხვადასხვა სათავსოებში შენახულ ან გადამუშავებულ ბოსტნეულში. ამიტომ, ზამთარში, როცა პროდუქტები ვიტამინებით ღარიბია, ახლად დაკრეფილი ნიახურის მიღებით ადამიანი მისთვის მეტად საჭირო ნივთიერებებს მიიღებს.

**შოთა ოზბოლაძე,**

**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.**

ციალა მაჭარაძე

# ნამდვილი ფასი

ამბავი

მე და ჩემი მეუღლე დიდხანს ვდაობდით. ნუ გაგიკვირდებათ და ეს დავა ჩემს ულვაშს შეეხებოდა...

მზია ულვაშს დიდ ფასს აძლევდა. საოცრად გაწიწმატდებოდა, როცა სიტყვას ულვაშის გაპარსვაზე ჩამოვუგდებდი... რას არ მოიგონებდა, რას არ იტყოდა: მარტო ის რად ღირს, ქართველი კაცი ულვაშის ღერს სინდისისა და პატიოსნების საწინდრად რომ გასცემდაო. ქვეყნის დაქცევას იფიქრებდნენ, მისგან დათქმული სიტყვის გატეხვას კი არაო...

და კიდევ, რა ვიცი, ათასგვარ რამეს ჩამოყვებოდა. კაცი ყველაფერს ხომ ვერ დაიხსომებ. სხვა რამ ჭირვეულობა მზიას არ გააჩნდა. ერთმანეთის კარგად გვესმოდა. თავის ტანსაცმელსაც კი ჩემს გემოვნებას უთანხმებდა. ჰოდა, ასე იყო თუ ისე, მეუღლეს ხათრს ვერ ვუტეხავდი. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ერთმა პატარა შემთხვევამ გაწამაწიაში არ ჩამაგდო...

იმ დღეს მეგობარმა მე და ნუგზარი ვახშმად მიგვიპატიჟა. უამრავი ხალხი მოეწვია ჩვენს მასპინძელს ამ მთისა და იმ მთის, ქალი და კაცი, მათ შორის — გოგონებიც...

ჩვენს წინ ისეთი გოგონა მოხვდა, თავგზა ამებნა, შევატყვე, ნუგზარსაც დიდად ეამა მისი მეზობლობა.

მართალი გითხრათ, ნუგზარი ჩემზე ლამაზიცაა და წარმოსადეგიც, ასე გასინჯეთ... ულვაშიც.

ბედს დავემორჩილდი და ამ მოხდენილი მეზობლისაგან უყურადღებოდ მიტოვებულმა მზერა უფრო მოშორებით გადავიტანე იქით, მაგიდის მეორე მხარეზე, გოგონები გიტარაზე გულისშემძვრელ მელოდიებს ღიღინებდნენ. გავმხიარულდი...

უცებ ჩემი მეგობარი წამოდგა. გიტარა გოგონებს გამოსტაცა და ჩემკენ გამოაქანა — სიმღერა ახლა ნახეთო. გიტარა შემაჩეჩა და მთხოვა რაიმე მემღერა.

უარი არ მითქვამს. ის კი არა და, სადღაც გულის სიღრმეში მეამა კიდეც. გიტარის სიმებს თითები შევახე და...

თვითონვე გამიკვირდა. მელოდიაც ისეთი შევარჩიე, კაცს რომ გულს გაუხსნის და შიგ ჩაუძვრება... მე ვმღეროდი და თითქოს ჩემთვის, თვალს ვერ ვახელდი. ასე მჩვევია — სიმღერის დროს თვალის გახელა არ მინდა. მგონია, ხელიდან გამიფრინდება წამით მოსული განცდა.

თვალი რომ გავახილე, ყველა ქალიშვილის მზერა ერთად დავიჭირე, მათ შორის იმ ჩემი მოხდენილი მეზობლისაც, ხათუნას რომ ეძახდნენ...

არ ვიცი, რატომ ხდება და, ზოგჯერ, ტკბილ სიმღერას რომ ისმენ, უნებურად წამწამზე კურცხალი დაგეკიდება. და მე არც გავვოცდი, ხათუნას ნამიანი, დიდრონი თვალები რომ უბრწყინავდა. ოღონდ ეს არის, თავბრუ დამეხვა, თვალი ვერ მოვაცილე.

იმ საღამოს კიდევ ბევრჯერ მამღერეს. და მეც უარს აღარ ვამბობდი. გული თვითონ მღეროდა. ვგრძნობდი, ამდენი თვალი და ყური ჩემსკენ იყო მომართული.

უნდა გამოვტყდე, თითქოს რაღაც შემემატა, შესვენების დროს გოგონების წრე ჩემს ირგვლივ რომ შეიკრა. ყველანი კარგები იყვნენ, მაგრამ ხათუნა მაინც სხვა იყო: თითქოს მხიარული, კისკისა, და სევდიანიც... ეს მისი სიცოცხლით სავსე თვალების მიღმა ჩანდა.

კაცი სულმოკლეაო, ნათქვამია. აბა, მე რა გამონაკლისი ვარ. გული საგულეში არ მეტეოდა. მთელი საღამო თვალებში შევციცინებდი...

რას არ ყვებოდნენ გოგონები, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. და ისე მოულოდნელად ჩამოაგდეს სიტყვა ულვაშზე, პირდაღებული დავრჩი. ვიღაც ულვაშიანს დასცინეს კიდეც ჩემს გასაგონად.

— აუტანელია! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ხათუნამ და თვალი შემომაპარა.

თავი ჩავკიდე და გიტარის სიმები სათითაოდ ჩამოვმარცვლე.

დამთავრდა ჩვენი ლხინი. ასე იყო თუ ისე, ხათუნა სახლამდე მე მივაცილე. გაჩახჩახებულ ქუჩას ნაბიჯების თვლით მივუყვებოდით. ვსაუბრობდით, ვკამათობდით კიდეც. და იმდენი საერთო გამოვნახეთ, მეორე დღისთვის შეხვედრაც დავთქვით.

მერე კი...

ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ასე გაგრძელდა კარგა ხანს.

ვცდილობდი, რაც შეიძლება დიდბუნებოვანი კაცის შთაბეჭდილება მომეხდინა. ისიც, მგონი, ასე იმიტომ კეკლუცობდა, უფრო მეტად რომ მოვხიბლულიყავ. ალბათ, ასე იწყება ყველა მეგობრობა...

ჩვენ ვლაპარაკობდით ყველაფერზე. დიახ, ყველაფერზე, მაგრამ ხათუნას ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, ვიყავი თუ არა ცოლშვილიანი. მეც ვდუმდი. ვშიშობდი ამ საფრთხის წინაშე დადგომას.

ერთხელ, როცა ხათუნა შინ მივაცილე, კარგა ხანს მიყურა ჩაფიქრებულმა, მერე თვალი ულვაშზე დამადგა...

— როგორ არ მიყვარს... რომ იცოდე!.. — სიტყვა არ დაამთავრა, სათქმელი თვალებით მითხრა.

ისედაც აღელვილს, ახლა ეს დაემატა და... რა ვქნა?! მე ხომ ისედაც...

შინ გვიან დავბრუნდი. მზია მაინც მელოდა. საჩქაროდ სუფრა გამიშალა და ვახშამი შემომთავაზა. ახლა იგი ისე კარგი იყო, თვალი ვერ მოვაცილე. სიყვარულით შემომცინოდა.

ფიქრი მომერია...

დილით, როცა მზემ ფანჯარაში შემოანათა, ხალისიანად წამოვდექი. ვითომ მთელი ღამე ახლანდელ სათქმელზე არ მეფიქროს. სარკესთან მივედი და მზიას ჩემთან მოვუხმე.

— მზია, — ვუთხარი ღიმილით, — რას მოითხოვდი ჩემგან ამის სანაცვლოდ? — თითები ულვაშს ისე ჩამოვუსვი, მზია მაშინვე მიხვდა. ეგონა ვეხუმრებოდი.

— მართლა გეუბნები! — თმაზე ხელი გადავუსვი, მივეალერსე.

მზიამ ტუჩები მოკუმა.

— მაინც, მაინც! — შევემუდარე.

მზიამ ეშმაკური ღიმილი შემომაგება, მისი მოკუმული ბაგეები გამომწვევად მიცქეროდა.

— ასე იაფად? — გავიღიმე და... თითქოს პირველად ვიგემე მისი ტუჩები... მზიას თანხმობა მეამა, მაგრამ გულში ტკივილი ვიგრძენი.

არ ვიცი, რა შემატყო. თვალი დაკვირვებით მომაშტერა.

თავი დავხარე. ვგრძნობდი, რომ უსინდისოდ ვტყუოდი, ვტყუოდი კი არადა, ვქურდობდი...

მზია გულუბრყვილო ბავშვივით შიღიმოდა. ჩემი სურვილი მისთვის უცხო არ იყო, მაგრამ...

რა იცოდა მზიამ ულვაშის ნამდვილი ფასი!

გარეკანზე — „რევოლუციას აქვს დასაწყისი, რევოლუციას არ აქვს დასასრული". მხატვარი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის—93-98-54. გადაეცა ასაწყობად 7/IX-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/X 70 წ. ქაღალდის ზომა 60 × 90[1]/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 111700. შეკვ. 2630 უე 02195. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეინარჩუნეთ მოქნილი წელი

რაც უფრო წვრილია წელი, მით უფრო გრძელია სიცოცხლეო — უთქვამს ხალხს. ამ სიტყვებში ღრმა აზრია ჩაქსოვილი. თუ წვრილი წელი გაქვთ, თქვენი მუცლის პრესი მოქნილი და ელასტიურია, ესე იგი, თქვენ ახალგაზრდად გამოიყურებით, თქვენი მიხვრა-მოხვრა ელეგანტური და მიმზიდველია, ჯანმრთელობა კი სრულ წესრიგშია. მაგრამ თუ მუცელზე ცხიმის დიდი ფენა დაგიგროვდათ, ეს იმის ნიშანია, რომ თქვენი ჯანმრთელობა საფრთხის წინაშეა, რომ აღარაფერი ვთქვათ გარეგნობის გაუარესებაზე და ქალური სინაზის დაკარგვაზე. საქმე იმაშია, რომ ჭარბი ცხიმი გავლენას ახდენს შინაგან ორგანოებზე, აწვება დიაფრაგმას, აძნელებს სუნთქვას, გულის მუშაობას და სისხლის მიმოქცევას.

გასუქება რომ უსიამოვნო ფაქტია, ეს ყველამ იცის, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ ებრძოლოს მას, ამიტომ შიმშილით თავს იკლავს, ნაირ-ნაირ კორსეტებს იცვამს და შედეგს მაინც ვერ აღწევს.

გულს ნუ გაიტეხთ, არსებობს ყველასათვის ხელმისაწვდომი, უებარი საშუალება — ფიზიკური ვარჯიში, რომლის მეშვეობითაც სულ მოკლე ხანში გაიუმჯობესებთ ჯანმრთელობას და დაიბრუნებთ იმ მიმზიდველობასა და ელეგანტობას, რომელიც ესოდენ აუცილებელია ყველა ქალისათვის. არ გჯერათ? აბა, სცადეთ, დაიწყეთ ვარჯიში და სულ მოკლე ხანში დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების სისწორეში.

ჩვენ თანდათან მოგაწვდით ვარჯიშთა რამდენიმე კომპლექსს. ამათგან შეარჩიეთ, რომელიც გნებავთ და დაიწყეთ სისტემატური ვარჯიში. ამჯერად, გთავაზობთ ვარჯიშთა კომპლექსს ჰანტელებით. ჰანტელებით ვარჯიში კარგ ეფექტს იძლევა და დადებითად მოქმედებს კუნთების ყველა ჯგუფზე. ჰანტელის წონა არ უნდა აღემატებოდეს 1 კილოგრამს. დაწყებისათვის სასურველია 500 გრამიანი ჰანტელების გამოყენება.

ვარჯიში დაიწყეთ ადგილზე სიარულით (50-60 წამი).

I ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა — ფეხები მხრების სიგანეზე, ჰანტელები ქვევით.

1-2 — ასწიეთ მკლავები ზევით, თავი უკან გადახარეთ, გაიზნიქეთ.

3-4 — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

გაიმეორეთ 4-6-ჯერ ძალდაუტანებლად თვლაზე 1-2 — ჩაისუნთქეთ, 3-4 — ამოისუნთქეთ.

II ვარჯიში: საწყისი მდგომარეობა — ჰანტელები ქვევით.

1 — წინზნექი, ჰანტელები მკერდთან. 2 — საწყისი მდგომარეობა. გაიმეორეთ 4-6 ჯერ აუჩქარებლად. წინზნექის დროს ფეხები არ უნდა მოიხაროს. ისუნთქეთ თავისუფლად.

III ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა — ფეხები დადგით მხრებზე განივრად, ჰანტელები — განზე.

1-2 — წინზნექი, დააწყვეთ ჰანტელები, ამოისუნთქეთ. 3-4 — გასწორდით, ჩაისუნთქეთ. 5-6 — წინზნექი, აიღეთ ჰანტელები, ამოისუნთქეთ. 7-8 — საწყისი მდგომარეობა, ჩაისუნთქეთ.

ვარჯიში გაიმეორეთ 6-8 ჯერ, აუჩქარებლად, ისუნთქეთ ცხვირით.

IV ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა — ჰანტელები ქვევით.

1 — ბუქნი, ჰანტელები წინ.

2 — ადგომა, ჰანტელები ქვევით.

გაიმეორეთ 6-8 ჯერ. ბუქნის დროს ტანი პირდაპირ უნდა გეკავოთ. ისუნთქეთ ცხვირით.

დააწყვეთ ჰანტელები, გაიარ-გამოიარეთ, მოადუნეთ მკლავები, ისუნთქეთ თავისუფლად.

V ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა — დაჯექით იატაკზე, ცერები ამოსდეთ რაიმე საგანს (საწოლს, კარადას და სხვა), ჰანტელები — წელთან.

1-2 — დაწექით ზურგზე. 3-4 — ადექით.

გაიმეორეთ 6-8 ჯერ შესვენებით. ისუნთქეთ თავისუფლად.

VI ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა — ფეხები ერთად, ჰანტელები ზევით.

1 — მარცხენა ფეხი წინ, ჰანტელები დაუშვით ქვევით და გაიტანეთ უკან. 2 — საწყისი მდგომარეობა. 3 — მარჯვენა ფეხი წინ, ჰანტელები ქვევით და უკან. 4 — საწყისი მდგომარეობა.

ვარჯიში შეასრულეთ თავისუფლად, ისუნთქეთ ცხვირით. გაიმეორეთ 4-6 ჯერ.

VII ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა — ფეხები მხრებზე განივრად, მარჯვენა ჰანტელი ზევით, მარცხენა — წელთან.

1 — ზნექი მარცხნივ. 2 — საწყისი მდგომარეობა. 3 — ზნექი მარჯვნივ, შეცვალეთ მკლავების მდგომარეობა. 4 — საწყისი მდგომარეობა.

ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ ძალდაუტანებლად. ისუნთქეთ თავისუფლად.

დააწყვეთ ჰანტელები, ღრმად ჩაისუნთქეთ, გაიარ-გამოიარეთ (50-60 წამი).

ამის შემდეგ მოგაწვდით ვარჯიშთა კომპლექსს რეზინის ამორტიზატორით (რეზინის სახვევი). მისი შეძენა აფთიაქში შეგიძლიათ.

დოცენტი გივი ყირმელაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი




### შეცდომის გასწორება

ჩვენი ჟურნალის მე-10 ნომრის მე-19 გვერდის, 43-ე სტრიქონში ნაცვლად 50 წლისა უნდა იკითხებოდეს 80 წელი.

б 61/220

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178

